საქართველო

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, ,,საქართველო''. ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—800 მან. ცალკე №—50 მ.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეშვიდე.

ხუთშაბათი, თებერვლის 17. 1921 წ.

№ 37

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, თებერვლის 17-ს — პირველად სეზონში

ვინ არის დამნაშავე?

შაბათს, თებერვლის 19-ს — მეცხრედ

ს ა მ შ ო ბ ლ ო

სამშაბათს თებერვლის 20-ს — მეასმედ

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. — ბილეთები კასაში.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, თებერვლის 17-ს პირველად სეზონში

ვინ არის დამნაშავე?

ნ. ნაკაშიძისა.

ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

ხუთშაბათს, 17 თებერვალს,
,,რიგოლეტო''
პარასკევს, 18 თებერვალს,
,,აბესალომ და ეთერი''
დასაწყისი 8 საათზე.

ტფილისის სახელმწ. კონსერვატორია

კვირას, 20 თებერვალს

ბენეფისი

ი. თ. როინიშვილისა

მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტული ძალები. ბილეთები იყიდება წინდაწინვე ფრანგულ ლიცეიში და კონსერვატორიაში; დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი სალ. 8 საათზე

ქართველ მსახიობთა ხაპროფესიო კავშირის საგანგებო

კ რ ე ბ ა

დანიშნულია 1921 წელს თებერვლის 20-ს. ქართული დრამის თეატრში დილის 12 საათზე. საკმაო წევრთა გამოუცხადებლობის გამო კრება გადაიდება პირველ საათისათვის და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

დღის წესრიგი: საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევანი და მიმდინარე საკითხები.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბიუროები

ცენტრალური საარჩევნო ბიურო

მოთავსებულია გაზ. ,,საქართველო''-ს რედაქციის ბინაზე, რუსთაველის პროსპ., 11 ტელ. 15—73. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6 დან 10—მდე.

საუბნო ბიუროები:

1 კომისარიატის ბიურო მოთავსებულია ოლღას ქ. 52 (სკოლაში).
2 ,, დამფუძნებელი კრ. ქ. 5 მთავარი კომიტეტის ბინა.
3 ,, ლერმონტოვის ქ. 14 ტელ. 17—96.
4 ,, ანჩისხატის ქ. 5.
5 წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზო, ივანე ქავთარაძესთან.
6 ,, მამუკას მოედანი 11.
8 ,, ნიკოლოზის ქ. 22 ტელ. 17—98.
9 ,, ტურგენევის ქ. 3.
10 ,, მეორე ქართული კლუბი—პლეხანოვის პროსპექტი. 129
11 ,, პარკის ქ. 33.
12 ,. მეორე ქართული კლუბი პლეხან. პროსპ. 129

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი გამოვა ა. წ. 10 თებერვლამდე

წლიური კედლის კალენდარი

სუფთად და ფართო სქელ ქაღალდზე დამზადებული და დასურათებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა

● ✦ ● ცხოვრების ეპიზოდებით ● ✦ ●

დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი, № 139.

გამგეობა.

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში ომში

დაჭრილ-დასახიჩრებულთა სრულ აღწერას.

რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისთვის, გარდა ზუგდიდისა

ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40.000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიც მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს ყოველ დღე ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 139 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

გამგეობა.

ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა

აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ 1921 წ. საწევრო გადასახადი უნდა შეტანილი იქმნას არა უგვიანეს ამა წლის თებერვლის 25 სა.

საფრანგეთთან ეკონომიურ და კომერციულ დამოკიდებლობაში დაინტერესებულ წევრთა მიღება გრძელდება.

ახალი წევრებისა და საწევრო გადასახადების მიღება სწარმოებს ყოველ-დღე პალატის მდივანთან 12-საათიდან დღის 2 საათამდე.

პრეზიდიუმი.

3481. 2—2.

განცხადება

მორაპნის მაზრაში, დაბა მირულაში ამა წლის თებერვლის 15-ს გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური, რომელსაც ექნება ტელეფონით კავშირი რესპუბლიკის ყველა იმ ქალაქებთან, სადაც არსებობს საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური და იმავე მაზრაში არსებულ სამაზრო ტელეფონის ქსელის აბონენტებთან (სამაზრო ერობა, თემები და კერძო ბინები).

საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის უფროსი გარდამოვი.

1—2 მარტს მხვნელ—მთესველთა ყრილობა
4—5 ,, მეხილე—მებაღეთა ,,
6—7 ,, მეფუტკრეთა ,,

მარტის 8 ს მოხდება გაერთიანებული სხდომა ყველა ყრილობების წარმომადგენლებისა სასოფლო სამეურნეო პალატის ქართული ორგანოების ასარჩევად,

ყრილობები შესდგება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე ნინოშვილის (ყოფილი ბორიატინსკის) ქუჩა № 5. დაიწყება დილის 12 საათზე.

1—531—1

თბილისის ქალაქის გამგეობის

განცხადება

1921 წ. ჯარის მორიგ გასაწვევ სიებში შესატან ახალგაზრდა მოქალაქეთა საყურადღებოდ.

ქ. თბილისის მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც უნდა იქმნენ ჯარში გაწვეულნი 1921 წ. 15 ნოემბრიდან, მოვალენი არიან ამა წლის 1 მარტამდინ გამოცხადდნენ იმ უბნის კომისარიატში, სადაც ისინი მუდმივ ცხოვრობენ, გასაწვევ სიებში ჩასაწერათ და თან უნდა წარუდგინონ წერილობითი განცხადებასთან ერთად თავისი დაბადების და აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მეტრიკული მოწმობები: წერილობითი განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (ვინა ჰყავს, მამა ან მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები გაურჩევლად იმისა სცხოვრობენ მასთან ოჯახში, თუ ცალკე, ან თუ ცოცხლები არიან [illegible], დები, ბაბუა და ბებია). მამისა და ძმების წლოვანება უნდა იყოს აღნიშნული დაწვრილებით (წლობით, თვე და რიცხვი დაბადებისა).

თბილისის უბნების გასაწვევ სიებში შეიძლება შეტანილ იქმნენ რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მხოლოდ და მხოლოდ ის ახალგაზრდა მოქალაქენი, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც წერილობითი განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდინ წარუდგენენ უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის, ან ხელობის მიხედვით სცხოვრობენ ქ. თბილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

თებერვალი 1921 წ.

თბილისის ქალაქის გამგეობა

დ ა ი კ ა რ გ ა

პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ნიკოლოზ მიხ.-ძე წულუკიძის სახელზე გაცემული მოწმობა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4—უ—2

მხოლოდ ამერიკული ,,რეზუროლინ'' პროფესორის ე. ვაღნერისა საზოგადოება ,,ალიანს''

მალე გახსნება მალე

კინო მინიონი პალასი.

სამხატვრო ცენტრის დირექცია ამით აცხადებს, რომ თეატრის ,,მინიონის'' ხელმძღვანელად მოწვეულია თბილისისთვის ცნობილი კინემატოგრაფების სპეციალისტი, შექმნილია მთელი რიგი მხატვრულ კინო-დრამების, რომელიც არჩეული არის სამხატვრო ცენტრის სასტიკი კონტროლის ქვეშ, რომლის მიზანია აჩვენოს მხოლოდ მხატვრული სურათები. მუსიკალური ილუსტრაციისთვის მოწვეულ არიან გამოცდილი მუსიკოსები-თავისუფალი მხატვრები.

დაწვრილებით აფიშებში.

კოოპერატივ ,,დახმარება''ს

წევრთ, რომელთაც შაი შეავსეს 1000 მანეთამდე

შეუძლიანთ მიიღონ:

ქართოფილი ახალციხის	გირ.	35 მან.	ხახვი	გირ.	35 ,,
ჩაი ცეილონისა	,,	900 ,,	ყველი	,,	50 ,,
კაკაო ინგლისური	,,	700 ,,	სანთელი	,,	700 ,,
ზეთი მზესუმზირისა	,,	650 ,,	სარეცხის საპონი	,,	200 ,,
მარილი	,,	35 ,,	ლობიო	,,	90 ,,

და აგრეთვე ფეხსაცმელის მაზი უფლაკონოთ 100 მანეთი, ნახშირი 2 ფუთამდის—ფუთი 1000 მანეთი, ხელის საპონი საზღვარ გარეთისა, ჩაის ჭიქა 350 მ. და სხვა და სხვა საქონელი. გრძელდება ახალი წევრების მიღება. კონტორა იმყოფება კოოპერატივის № 2 მაღაზიაში თავის. მოედ. თამამშევის ქარვასლაში.

გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი რუს-სომხეთთან

ნ. ჟორდანიას მოწოდება

საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის საოლქო შტაბებს, ბათუმ საგანგებო რწმუნებულს, აფხაზეთის კომისარიატს საქართველოს ყველა მოქალაქეებს.

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა, გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო აზერბაიჯანი და იქ მდგომ ბოლშევიკურ ჯარებმა შემოგვიტია აღმოსავლეთში. იცოდეთ, რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგარის სამუდამოთ დაღუპვას და ჩვენი ბოლშევიკთა მშიერი ბრბოების უსაშინლეს ტირანიაში ჩავარდნას.

დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება.

საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოსევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკია. აიღეთ ხმალი ხელში, აამუშავეთ ქალი და კაცი, შექმენით ახალ ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით სასტიკი წესიერება. აალაგმეთ მოღალატენი და ორგულნი. იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბოლშევიკები გაგძარცვენ და გაგგლეტენ. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება, შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოკიდეთ ხელი მარტოდ-მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველ დღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი. ქართველო ხალხო „ხელი ხმალს იკარ მტერთა იმან ხმანია" საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება.

მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

გენერალური შტაბის ცნობა.

16 თებერვალი.

ღამით რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოილაშქრა საბჭოთა აზერბეიჯანმაც. ყაზახის მაზრიდან შემჩნეულია საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელი ხიდის წინააღმდეგ.

ფოილოს მიმართულებით მოგერიებულ იქმნა მტრის ცდა მტკვარზე გადმოსვლისა და ფოილოს ხიდი ჩვენ მიერ აფეთქებულია.

ბრძანებაა: წითელი ხიდისა და ხადახლოს მიმართულებით ჯარებმა მდ. ხრამზე დაიხიონ.

ჯარის სულიერი განწყობილება მამაცურია და ჩვენი დახევა წესიერად სწარმოებს.

გენ. კვინიტაძე.

რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარ-სარდლათ დანიშნულია გენერალი გიორგი კვინიტაძე.

მისიების დაპატიმრება.

მისიების დაპატიმრება. ტფილ. გენ გუბერნატორის განკარგულებით გუშინ დაპატიმრებულ იქმნენ შინაურ წესით სომხეთისა და ადერბეჯანის მისიები.

მაჰმადიანთა ლოიალობა.

გენ. გუბერნატორის სახელზე მოსულ ცნობით ეკატერინენფელდიდან ადგილობრივ მაჰმადიანთა მცხოვრებნი კეთილ განწყობილებას აცხადებენ საქართველოს მიმართ და მზად არიან ყოველ გვარ დახმარების აღმოსაჩენად.

მოწოდება

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, წევრებს და თანამოაზრეთა, თბილისსა და პროვინციაში.

საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა ვერაგი მტერი. თავს დაგვესხა ომის გამოუცხადებლივ, ჯერ-ჯერობით სომხეთის და აზერბაიჯანის მხრივ. მოსალოდნელია სხვა ფრონტებიც მტერს მოაქვს ჩვენი ქვეყნის დაქცევა, ცეცხლი, ვაჟკაცთა ხოცვა-ჟლეტა დედაკაცთა და ბავშვთა აწიოკება და ნამუსის ახდა! ეს მტერია გახრწნილი ბოლშევიზმი, რომელსაც, როგორც ცოფიანს ძაღლს, ებრძვის მთელი კულტურული ქვეყნიერობა. ეს ყაჩაღი ბოლშევიზმი მეორედ ცდის თავის ბედს. პირველი ცდა გასულ-წლის გაზაფხულზე, აზერბაიჯანის მხრით, გათავდა მის დამარცხებით. ეს მეორე ცდა, უფრო მოფიქრებული და უფრო ვერაგული, მის სრული განადგურებით უნდა გათავდეს.

ჩვენი იმედი და სიმტკიცე ჯარი და გვარდია უკვე ჩაება გმირულ ბრძოლაში და სამშობლოს თავისუფლებას თავისი გულმკერდით იცავენ. მაგრამ ქართველობა ბევრია დარჩენილი ჯარისა და გვარდიის გარეშე, მის გული შინ ჯდომას ვერ მოითმენს, როდესაც კარს განსაცდელი მოგვდგომია; იგი ბრძოლისკენ გაიწევა, რომ მოიხადოს თავისი საღვთო ვალი სამშობლოს წინაშე. ამ ვაჟკაცთათვის დგება მოხალისეთა რაზმი.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიასთან დაარსდა მოხალისეთა სამობილიზაციო ბიურო, რომელმაც მიმართა ყველა პარტიებს მოწოდებით, რომ თავის წევრთ და თანამოაზრეთა შორის მოხალისეთა რაზმისთვის შეარჩიონ სამშობლოს ერთგულნი.

პარტიის წევრნო და თანამოაზრენო!

ჩვენთვის სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა ყველაფერია. ეს იყო და არის აზრი და მიზანი ჩვენი არსებობისა, დაგვიდგა ნეტარი დრო სამშობლოს თავდადებისა და თავგანწირვის! დაუყონებლივ მიიქეცით, პროვინციელებო, პროვინციელების პარტიულ ცენტრალ-ორგანიზაციებში, თბილისში მცხოვრებნო—თბილისის ცენტრალ-პარტიულ სამობილიზაციო ბიუროში (რედ. „საქართველოს" ბინა, რუსთაველის პროსპექტი № 11).

ქართველი ერი ეროვნულობით, ვაჟკაცობით და გმირული თავდადებით ყოველთვის მუსრავდა თავდასხმელ მტერს. იგი დღესაც შემუსრავს ვერაგულად შემოჭრილ თავხედ მტერს.

წინ თავის გასაწირავად სამშობლოს უკვდავებისა და დიდებისათვის.

(ეროვნული დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიულ პარტიათა და უპარტიო კავშირი).

მთავარი კომიტეტი.

ფხიზლად ქართველებო!

თავხედი მტერი კარზე მოგვადგა! მტერი დაუნდობელი და ჩვენი თავისუფლების უარისმყოფი, უსინდისო და ლაჩარი; მტერი, რომელიც მალვით და ქურდულად თავს დაგვესხმის და ომის წესების ფეხქვეშ გათელვით სრულიად აშკარავებს თავის მყრალ ბუნებას,— აი ასეთი მტერი დღეს შურითა და მუქარით მოიწევს საქართველოსაკენ!

ჩვენს დაწყნარებულსა და მშვიდობიანს სამშობლოს ალაყაფს არაკუნებს მტერი, რომელსაც მოაქვს ცეცხლი და განადგურება და რომლის პირველი და საბოლოო მიზანია ხალხის, მშრომელი დემოკრატიის აკლება და სამოქალაქო ომის გაჩაღება და თავისუფალი საქართველოს დამხობა!

საქართველოს წინააღმდეგ მოდის ბოლშევიკური წითელი ჯარი, რომლის უშუალო შემწეობით გახრწნილი და განადგურებულია რუსეთის მთელი უზარმაზარი ტერიტორია და სამარის პირამდე მიყვანილია რუსის საცოდავი, შეუგნებელი ხალხი.

ამ გახრწნილ და თავაღებულ ურდოებით კომუნისტები უპირებენ ჩვენს სამშობლოს ისეთსავე „ბედნიერებას", როგორიც მათ არგუნეს განრღვეულს და დაშლილ რუსეთს.

რა პასუხი უნდა გასცეს დემოკრატიამ საქართველოს მთელმა ხალხმა მუხანათ მტერს?

ამ შემთხვევაში არავითარ რყევას და გამოურკვევლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და, რასაკვირველია, არც ექნება!

ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, რა ავლადიდების ადამიანები ასეთის გააფთრებით იწევენ ჩვენზე: ძველი საკმაოდ ნაცნობი რუსის ჯალათი ხელმეორედ მოეშურება საქართველოსაკენ ქურქგამოცვლილი და ფერშეცვლილი, ხოლო მისი გული ისევ შავია და ავაზაკობით აღსავსე.

ასეთს მტერს ერთი პასუხი მოელის ჩვენგან: აშიშვლებული ხმალი სრულიად საქართველოს გაერთიანებული ხალხისა ძველებურად აელვარდება ქურდულად შემოსული ჰარამზადების დასახვედრად... მახვილი ქართველისა კვლავინდებურად სასახელოდ დაამთავრებს დაწყებულ ომს და ჩვენს მიწაწყალს არ გაათხუნინებს მურტალ მტრის ბრბოებს...

ფხიზლად ქართველებო!

მდგომარეობა ერთობ სერიოზულია!

დღეს ჩვენ უკანასკნელ გამოცდას ვიჭერთ!

ქართველი ერი ახლო დღეებში და ამტკიცებს, რომ ის ღირსია თავისუფლებისა და განათლებული კაცობრიობის ნდობისა!

მთელი საქართველო დღეს აღმართულია შეურაცხყოფილ მშობელი მიწის დასაცავად.

და ეს იმედს გვინერგავს, რომ საქართველო გაიმარჯვებს.

დამფუძნებელ კრებაში

საბჭოთა სომხეთის თავდასხმა საქართველოზე.

თებერვლის 16-ის სხდომა.

თავმჯდომარეობს ბ. ალ. ლომთათიძე. სხდომას დაესწრნენ, თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, პრესისა და თვითმმართველობათა წარმომადგენელნი. დარბაზი სავსეა სტუმრებითა და მსმენელებით.

რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია.

ნ. ჟორდანიას სიტყვა.

(ხანგრძლივი ტაში).

მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულად თავს დაგვესხა, მან კვლავ ააფრიალა სისხლის და ომის დროშა და ჩუმად, მუხანათურათ, შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში. შემოიჭრა იმავე გზით, იმავე საშუალებით, იმავე წესით, როგორადაც მან ჩაიდინა ეს ამ ორი წლის წინად. ამ თვის თორმეტს, ღამით, მისი მოწინავე რაზმები თავს დაესხნენ ჩვენ სადარაჯო პოსტებს, აიყოლიეს ზოგი გაბრიყვებული სოფელი და ამნაირად ხელთ იგდეს ერთი ნაწილი ბორჩალოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრებისა, სომხეთის ხელმძღვანელი წრეები იცვლიან ფერს, როგორც ეს დასჭირდებათ, მარა ამით ოდნავადაც არ იცვლიან სულსა და გულს, ოდნავადაც არ უახლოვდებიან ადამიანურ საერთაშორისო ჩვეულებას. ისინი დღესაც ვერ ინელებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, დღესაც არ სცნობენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ცდილობენ, ყოველივე ძალღონით დაამხონ და შემუსრონ იგი. ეს მათ ვერ შესძლეს თვრამეტში; შემდეგ ცენტრი თავის მუშაობისა გადაიტანეს ევროპაში და იქ ამ ორი წლის განმავლობაში უფრო ებრძოდნენ საქართველოს, ვიდრე იცავდენ სომხეთს. იქაც ვერ მიაღწიეს მიზანს. და აი ახლა ხელახლა სცადეს აქ და შეიარაღებული ძალით ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. განა ეხლა კი მიაღწევენ მიზანს? არა, არასოდეს! ისინი ეხლაც ისე სასტიკად დამარცხდებიან, ისე ლაჩრულად გაიქცევიან, როგორც დამარცხდნენ და გაიქცნენ პირველად. (მხურვალე ტაში. ხმები: უარესად).

რის და ვისი იმედით იწყებენ ომს ეს გაქცევას დაჩვეული ხალხი? რის და ვისი იმედით აბრიყვებენ სომხეთის გლეხკაცობას ეს ყვითელი თუ წითელი ვაჟბატონები?

ამათ არასოდეს არ ქონებიათ თავისი იმედი, ისინი მუდამ გარეშე ძალას ეძებდენ მეზობლის წინააღმდეგ. პირველი ომი რომ მათ დაიწყეს, დენიკინის იმედით, მაგრამ დენიკინმა დააგვიანა და როცა მან სოჭაზე გამოილაშქრა,—სომხეთი დიდი ხნით დამარცხებული იყო, საქმეში ჩამოერივნენ ახლად მოსული ინგლისელნი, შეგვაჩერეს გამარჯვებული ჯარი და შეჰქმნეს ნეიტრალური ზონა.

ეს დენიკინის მოტრფიალენი ეხლა უცებ დაცემული მთავრობის ლოცვა-კურთხევით, გადიქცნენ საბჭოთა მთავრობის მოტრფიალეთ. და ეხლა ამ იმედით მოდიან ჩვენსკენ და ლამობენ, შეასრულონ ის, რაც დენიკინის შავმა ლაშქარმა მათ წინეთ ვერ შეასრულათ. როგორც ხედავთ, სომხეთის ბატონ-პატრონები ყოველნაირ ძალას ემხრობიან, ოღონდ ეს ჩვენ წინააღმდეგ კი გამოადგეთ. კუზიანს სამარე გაასწორებსო, მათი გამასწორებელი დღეიდან ჩვენი ხმალია.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკური სომხეთი მიდის დაშნაკურ სომხეთის გზაზე და აწარმოებს პირწმინდათ მის პოლიტიკას. ჩვენ არასოდეს არ დაგვიჯერია სომხეთის ახალი დროშა ოდნავადაც მაინც შესცვლიდა მის ძველ დროშას, არასოდეს არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ სომხეთის ბოლშევიკური მთავრობა მართლა დაადგებოდა საერთაშორისო სოლიდარობის და თანხმობის გზას. ის დღიდან თავისი არსებობისა ეძებს საბაბს განხეთქილებისა და ომიანობისას. განა არ შეიძლებოდა სადაო კითხვების მეზობლურად, მშვიდობიანად მოგვარება? დიახაც რომ შეიძლებოდა. მაგრამ ეს მიუხედავათ დაპირებისა, ტყვიაზე გადასცვალეს.

რა იყო ჩვენს შორის სადაო? სადაო საგანი იყო სწორეთ გარეშე ძალის მიერ შექმნილი ნეიტრალური ზონა, ბორჩალოს სომხეთის ნაწილი. ჩვენ ეს ორი წელიწადი ვცდილობთ ამ ზონის მოსპობას და ნამდვილ საზღვრის დადებას. ამ საგანზე გვქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება სომხეთის ძველ მთავრობასთან, რომლის თანხმობით ჩვენ ეს ზონა დროებით დავიკავეთ. ბოლშევიკურ მთავრობას ჩვენ შვიდი და 10 დეკემბერს მივმართეთ ნოტით ამ სადაო კითხვის მოლაპარაკებით გასათავებლად. იმავე თვის 29 ს მისგან მივიღეთ თანხმობის პასუხი, ხოლო იანვარში თვით ნოტის ავტორი, საგარეო საქმეთა კომისარი ბეგზადიანი ჩამოვიდა ტფილისში და მასთან საბოლოოდ შევთანხმდით. უნდა შეყრილიყვნენ ორივე ქვეყნის დელეგაციები ტფილისში ჩვენ ველოდით მათ დელეგატებს, სამაგიეროთ კი მივიღეთ... თავდასხმა. სწორედ ასე მოხდა თვრამეტშიაც, ალბათ გახსოვთ, იქ ერევანში ჩვენი ელჩი დაარწმუნეს, თბილისში ვგზავნით დელეგატებს საზღვრის კითხვის მოლაპარაკებით გადასაჭრელათო. ხოლო ნამდვილად კი იმავე დროს თავდასხმა მოახდინეს. იგივე მუხანათობა, ორპირობა, გაუტანლობა ბატონობს [illegible] დღესაც.

მაგრამ ერთი უპირატესობა უეჭველია ჰქონდა ძველ მთავრობას. მან შემდეგ თავდასხმისა ოფიციალურადაც ომი გამოგვიცხადა. ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას აჩვენოს, რომ აქ ომი კი არა, ადგილობრივი გლეხთა აჯანყებააო.

მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითა პოლკები, არტილერია და ტყვიამფრქვევლები? უპატრონობია? ვინ მოიყვანა სომეხ-რუსების რეგულიარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? განა შეიძლება ქურდულად ომის წარმოება? ჯარების დამალვა? არა, ჩვენ საქმე გვაქვს სომხეთის მთავრობასთან და არა მათ მიერ გაბრიყვებულ გლეხებთან. შინაგანი ბოლშევიკური შეთქმულება და გარედან თავდასხმა, აი, რა მოხდა ბორჩალოში. ამ გეგმის განხორციელება მათ ვერ შესძლეს დეკემბერში თბილისში, საქართველოს მასშტაბით. და აი, აქ დამარცხებულნი მას ანხორციელებდენ ნეიტრალ ზონაში და მით აჩაღებდენ სისხლის-ღვრას ორ მეზობელ ხალხთა შორის. მათ სურთ საქართველოს დაპყრობა ბორჩალოდან. ტყუილი იმედია საქართველოს დემოკრატია აჩვენებს ამ ვაჟბატონებს თავის ვაჟკაცობას, თავის დადებას და გამარჯვებას. მომხდურნი ისევ უკან გაიქცევიან როგორთაც არა ერთხელ გაქცეულან წინათაც. და აი ამაში დარწმუნებული ერევნელები ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენელისა: რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ნიადაგზე ერევანს დარჩა ერთადერთი ბაქო სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავის ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი (ხმები: მოღალატენი! ზიზღი მათ).

ბატონებო, ძველი საქართველო დაასუსტა სწორედ ასეთ მოღალატეობამ, ქართველთა საქართველოდან გაქცევამ და სპარსეთის ან სხვა უცხო ჯარებით უკან დაბრუნებამ. დღევანდელი ქართველი ბოლშევიკები, ბაქოში მოკალათებული ზურაბ წერეთლები იმეორებენ აი ამ ფეოდალების მუხანათობას, მაგრამ ერთი განსხვავებაა: დღევანდელ გაერთიანებულ და შეკავშირებულ დემოკრატიულ საქართველოს თავის უღირს შვილთა არ ეშინია, ის თავის თავს, თავის არსებობას და მთლიანობას ბოლომდის მამაცურად დაიცავს და მომხდურთ და მოღალატეთ სამაგიეროს მიაგებებს (ტაში).

მოქალაქენო, მთავრობამ მიიღო ყველა ზომა ქვეყნის დასაცავად. მან გამოაცხადა დამატებითი მობილიზაცია, შემოიღო სამხედრო წესები, შეაკავა მოწოლილი მტერი, ხელთ იგდო სტრატეგიული პოზიციები, ჩვენი გვარდია და ჯარი მტკიცედ სდგას თავის პოსტზე და ვაჟკაცურად ასრულებს თავის მოვალეობას, შეაჩერა თვითმმართველობათა არჩევნები და შეეცადა ერის მთელი ენერგიის თავდაცვის გარშემო დაგროვებას. შევუწყოთ ხელი ფრონტს, გადავდოთ ყველაფერი ფრონტისათვის. დროებით ჩავაგოთ ქარქაშში პარტიული ხმალი და ვაჩვენოთ მტერს ჩვენი ერთობა და სიმტკიცე. დამფუძნებელი კრება, ეს გული და ტვინი საქართველოსი და მის მიერ დაყენებული მთავრობა წარუძღვება ხალხს წინ გამარჯვებისაკენ (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები)

ვ. თევზაიას სიტყვა.

ერევნის მთავრობას შეშურდა ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობა, ეს ხალხი ვერ ითმენს თავის გვერდით წარმატებას და ამბობს-მე თუ არ ვარ ნურც სხვა იქნებაო, მათ ბაქო დაუმეგობრდა, ბაქო არ არის აზერბაიჯანი, ის ხალხი მუდამ მასთან იქნება ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის. სომხეთთან ბრძოლაში საქართველოს დემოკრატია არ იქნება მარტო, მასთან იქნება ევროპის დემოკრატიაც. ჩვენი დემოკრატია ერთის აზრით არის გამსჭვალული და ეს აზრი არის მტრის უკუდება. ჩვენ უნდა ზურგი გავუმაგროთ ჩვენს ჯარს და გვარდიას, ისინი კი ჩვეულებრივის სიმტკიცით დაიცავენ სამშობლოს.

ჩვენი ფრაქცია დარწმუნებულია, რომ ჩვენი მთავრობა შეძლებს ქართველ ხალხთან ერთად ეს ომიც გამარჯვებით დაბოლოვდეს.

მ. ხოჭოლავას სიტყვა.

მას შემდეგ, რაც სომხეთის ხალხს დაეპატრონა წითელი ფერით შეღებილი ძველი ჟანდარმი, ჩვენ ყოველი საათი საფრთხეს გვიმზადებდა, განმეორდა სოჩის ეპოპეა აქაც, როგორც იქ ძველმა ჟანდარმა გაითამაშა საზიზღარი ფარსი. თებერვლის 11-ს. თავს დაესხნენ ჩვენ მოდარაჯეთ და ყელები დასჭრეს საკითხავია რისი იმედი აქვთ ამ კომედიის გამთამაშებელთ ნუ თუ ფიქრობენ, რომ საქართველო სადაც მეფობს აზრთა სხვა და სხვაობა ვერ შესძლებს ასეთ დროს გაერთიანებას? სცდებიან. ქართველ ხალხი შესძლებს ერის სამსხვერპლოზედ მიიტანოს აზრთა სხვა და სხვაობა და ერთის აზრით განიმსჭვალოს. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ. რომ ჩვენი ჯარი და გვარდია შესძლებენ ჩვეულებრივად ღირსეულად დაიცვან თავიანთი სამშობლო

შ. ნუცუბიძის სიტყვა.

სულ რამოდენიმე დღის წინ ქართველი ერი ზეიმობდა გამარჯვებას, ეს მისი სრულ სიმწიფის მაჩვენებელია. ეს არ სჯერა როგორც ჩანს საბჭოთა სომხეთს და ის ახალ გამოცდას გვიკეთებს. სომხეთს ერთი გზა აქვს, ეს არის მეც წავხდი შენც წაგახდინე. სომხეთმა დაინახა დიდი აჩრდილი საქართველოსი. ის მიხვდა რომ ევროპასთან შედუღებული საქართველო გამაგრდება ისე რომ ადგილი აღარ იქნებოდა მისი ლახვარის ჩაცემა და ახლავე მოინდომა ანგარიშის გასწორება. ის ამბობს ან ეხლა ან არასოდეს. და სწორედ ჩვენც ასევე უნდა უთხრათ ან ეხლა ან არასოდეს, საქართველო შესძლებს პასუხის გაცემას, დღეს ჩვენში არ არსებობენ სხვა და სხვა პარტიები, არსებობს მხოლოდ ერთი მამულისათვის თავდადებულთა პარტია.

ჩვენ გვწამს რომ მთავრობა დაიცავს საქართველოს მთლიანობას და თავისუფლებას, და ამ ბრძოლაში ჩვენც მთელის ჩვენის არსებით მასთან ვიქნებით.

ტერ-სტეფანიანის სიტყვა.

როგორც მთავრობის თავმჯდომარემ გვაცნო საბჭოთა სომხეთი 11—თებერვალს თავს დასხა, საქართველოს სადარაჯოებს. მე არ ვიცი. რა მიზნით ჰქნეს ეს, ის კი ვიცი, რომ სომხეთის რევ-კომმა მოითხოვა საქართველოსაგან ჯარები გამოეყვანათ ნეიტრალურ ზონიდან, ამის დრო 12—გასულა, და სჩანს თავდასხმას ამასთან უნდა ჰქონდეს კავშირი.

ლ. შენგელაიას სიტყვა

ჩვენ უკვე საომარ მდგომარეობაში ვართ, და ჩვენს წინაშე ძველი საკითხი სდგას.

ჩვენ სოც. რევოლიუციონერებს არ გვწამს ომი ერთა შორის არამედ მხოლოდ ექსპლოატატორთა წინაღმდეგ. ერთა შორის ყველი სადაო საკითხი შეთანხმებით უნდა გადაიჭრას ხოლო თუ ეს არ ესურვა საბჭოთა სომხეთმა და თავს დაგვესხა ცხადია ჩვენ მთელის არსებით მთავრობასთან ვიქნებით რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში.

სპ. კედიას სიტყვა

დამფუძნებელ კრების წევრნო! არც მეტი ილუზია უნდა შევქმნათ და არც მეტი პესიმიზმი. ჩვენი დანიშნულება ამ მომხდარ ფაქტის წინაშე უნდა იყოს ის, რომ გავზომოთ მისი მოსალოდნელი შედეგები, ნამდვილი მიზანი თავდასხმისა, თავდამსხმელთა ვინაობა და რაოდენობა, ის პირობები გარეშე და საშინაო რომელშიაც საქართველოს უხდება შემოსეულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. ამისათვის შეიძლება საკმაო არ იყოს მარტოოდენ იმ მტრის დანახვა, რომელიც თავის დაუფარავის გარეგნობით ჩვენ წინააღმდეგ მოდის. შეიძლება ამ შემთხვევაში იქნება მეტი საბუთიც იყოს, რომ აშკარად გამოჩენილი მტრის იქით იდგეს სხვა მტერი: მეორე ხელი. და ჩვენ ვერ ვიქნებით ჩვენი შეგნებისა და დანიშნულების სიმაღლეზედ მდგომი თუ გარემოებათა წესიერ ანალიზით ვერ მივაგნებთ ამ დაფარულ მტერს და მაშასადამე ვერ შევძლებთ ვერც სათანადო მომარაგებას, და ვერც სათანადო გამძლეობას. თქვენ იცით რომ დიდი საბჭოთა რუსეთი ფართო მასშტაბით იწარმოებს მსოფლიო ომს და ამ დიდი მასშტაბით ომის დროს იგი თავის გზაზე აქცევს და ანადგურებს ყველა იმას ვინც შემოხვდება. ეს მგონია, არ არის არცერთი პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველი კაცი რომელიც დარწმუნებული არ იყოს იმაში, რომ დიდი საბჭოთა რუსეთი, დღევანდელი რუსეთი იმავე პოლიტიკით და იმავე დაპყრობითი მიზნებით არის გატაცებული და იმავე იმპერიალისტურ გზას ადგია როგორც რუსეთი რომანოვებისა. (ხმები: მართალია) რუსეთი აკეთებს თავის საქმეს ეხლა უკუგდებული სამხრეთიდან პოლონეთის ფრონტიდან, იმ მამაც პოლონეთისა, რომელსაც ეხმარებოდა კეთილშობილი ევროპა. აშკარაა. რომ უკუგდებული ეს რუსეთი ის მთელი თავის ძალღონეს წარმართავდა იმ ხაზით, სადაც მათი აზრით ნაკლები წინააღმდეგობა არის მოსალოდნელი. ეს მოძრაობა, ჩვენ ვამჩნევთ, რომ იმართება ეხლა კავკასიისაკენ და ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენი ჩრდილო მეზობელი-დაღესტანი, საშინელ მდგომარეობაში ჩაჰყენა და იქ დღეს სისხლი იღვრება განუწყვეტლივ და ეს მამაცი მთა რომელიც თავის დღეში ქედს არ იხრის და რომელიც ისტორიულად მონობის უღელს არ ჩვევია, ებრძვის და იცავს თავს საბჭოთა რუსეთისაგან. თქვენ იცით აგრეთვე რომ საბჭოთა რუსეთი შემოვიდა ადერბეიჯანში და როგორც კი შემოვიდა და ხელთ იგდო ეს ქვეყანა, თითქმის მაშინვე ადერბეიჯანი საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა და იცით რომ წარსული წლის გაზაფხულს საქართველო შესვლა ადერბეჯანს, უკეთ რომ ვსთქვათ ადერბეიჯანს კი არა, იგი შეხვდა საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას. (ვეშაპელი: და დაამარცხა. ეს იყო პირველი შეტაკება და ეს შეტაკება დამთავრდა საქართველოს პატრიოტულ ჯარის გამარჯვებით. ამის შემდეგ თქვენ იცით, რომ ეს ტალღა ბოლშევიკურ რუსეთისა მოხვდა სომხეთს და თავის კალთებში ჩაიჭირა, და ამ დღიდან მოკიდებული საბჭოთა სომხეთი საქართველოს წინააღმდეგ ამზადებდა თავის მებრძოლ ძალებს. ამნაირად დიდი რუსეთის სივრცეზედ—ციმბირიდან მოყოლებული პოლონეთამდე, კასპიის იქით მხარეში და შუა აზიაში და მთელ კავკასიაში რომქარი ქრის, ეს ქარი საშინელი ქარიშხალი ხდება ანარქიისა ამ ვეებერთელა სივრცეზე განუწყვეტელ სისხლის ღვრა აწიოკება ადამიანთა, შეურაცხყოფა პიროვნებათა არის. აქ დაირღვა ყოველგვარი საფუძველი წინსვლისა, პროგრესისა, აქ არ არის მოქალაქე და მისი უფლება. აქ ამ დიდ სივრცეში მარტო მარტო ეს პატარა ქვეყანა საქართველო წარმოადგენს სულ სხვა სახეს ფორმას და შინაარსს. აქ საქართველოში არის სულ სხვა იდეა, იდეა წესიერებისა, წინსვლისა და პროგრესისა. აქ დაცული არის საფუძველი შემოქმედებისა, აქ არის წესიერი სახელმწიფოებრივი წყობილება, ის, რაც ხალხის და კაცობრიობის კულტურას შეუქმნია, როგორც საუკეთესო და მიზანშეწონილი გზა წინმსვლელობისათვის. ამ გვარად ამ სივრცეში ეს ორი იდეა ერთმანეთს უმზერს, უცქერის და გეკითხებით, განა ლოღიკური არ არის და ბუნების წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ ბოლშევიკურ რუსეთს, ასეთ საშინელი სახისას არ დაბადებოდა მადა რომ ჩაენთქა ეს იდეა, რომ ჩაენთქა ის ქვეყანა, რომელიც სულ სხვა სახეს წარმოადგენს, ჩვენთვის შეუძლებელია რომ ეს მისი ადმასში არ ამოძრავებულიყო და ვისაც უნდა გაიგოს, საიდან მოდის ნამდვილი მართველი და საშიშარი ხელი ჩვენს წინააღმდეგ, ამან უნდა ანგარიში გაუწიოს სწორედ ამ მდგომარეობას. ამიტომ ჩვენ ვამბობთ რომ ჩვენთვის არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი, არც ცალცალკე და არც ორივე ერთად, არ არის საშიში. ვამბობთ იმასაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვებრძვიან არა ლორისთვის, არა ბორჩალოსათვის, არა ჩვენ გვებრძვის ამ შემთხვევაში იდეა საბჭოთა რუსეთისა, გვებრძვის არა რომელიმე ნაჭრისათვის ჩვენი ქვეყნისა, არამედ მთელ საქართველოსათვის, (ხმები: მართალია). აი ნამდვილი დაპირდაპირება ჯერ იდეური და მერე იმპერიალისტური რუსეთისა თვით მომქმედ დამოუკიდებულ საქართველოს წინააღმდეგ. რანაირი არის ამ შემთხვევაში როგორც ჩვენი შინაური სინამდვილე, ისე საგარეო მდგომარეობა. ჩვენ ვამბობთ რომ საქართველო მტკიცე და შეგნებული თავის კანონიერ ძლიერებაში და ნამდვილ ძალაში არასოდეს არ ყოფილა ისე, როგორც დღეს. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო დღეს ისე არის გამართული სახელმწიფოებრივად, რომ როგორც არასდროს არ ყოფილა ამ სამი წლის განმავლობაში არც ერთი მომენტში. საქართველოს სამხედრო ძლიერება დღეს ნამდვილ ევროპიულ რეგულიარული ჯარის უმშვენიერესი გამოხატულება, რომელიც აღგზნებული არის მაღალი პატრიოტური გრძნობით და შეგნებით. დღევანდელ საქართველოში მოქმედებს ორი სახელმწიფოებრივი აპარატი, დღევანდელი საქართველო დიდათ განსხვავდება იმ საქართველოსაგან რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში ამსხვრევდა და ანადგურებდა ყველა იმათ, ვინც ესხმოდა თავს. და მაშასადამე დღეს ჩვენ მეტი საბუთებით შეგვიძლიან ვსთქვათ რომ თავდამსხმელ მტრებს გავცემთ პასუხს. (ტაში, ხმები: მართალია, [illegible]).

მაგრამ როგორი არის ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა? უკეთესი გაცილებით ვინემ აქამდე იყო ის ევროპა რომელმაც დიდი სიხარბე გამოიჩინა, ვიდრე გვიცნობდა იურიდიულად, დღეს ჩვენთან არის. დღეს ჩვენთან არის მთელი ანტანტა, მთელი ევროპა. უფრო ფართოთ რომ ვსთქვათ, ყველა სახელმწიფო წინააღმდეგი არის საბჭოთა რუსეთის იდეის და მისი მოქმედებისა, არამც თუ მარტო ის წრეები არიან წინააღმდეგი რომლებიც პრინციპიალურად ებრძვიან ამ იდეას საბჭოთა რუსეთის, არამედ თვით მუშათა კლასიც დიდი წინააღმდეგი არის საბჭოთა რუსეთის. არც ერთ ქვეყანაში საბჭოთა რუსეთს

საქართველოს დემოკრატიული პარტიის

სამობილიზაციო ბიუროები

ცენტრალური სამობილიზაციო ბიურო:

მოთავსებულია გაზ. ,,საქართველოს'' რედაქციის ბინაზე რუსთ. პროსპ., 11 ტელეფ. 15—73. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6-დან 10-მდე,

საუბნო ბიუროები:

1 კომისარიატის ბიურო მოთავსებულია ოლღას ქ. 52 (სკოლაში)
2 ,, დამფუძნებელი კრ. ქ. 5 მთავარი კომიტეტის ბინა.
3 ,, ლერმონტოვის ქ. 14 ტელ. 7—96.
4 ,, ანჩისხატის ქ. 5.
5. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზო, ივანე ქავთარაძესთან.
6 ,, მამუკას მოედანი 11.
8 ,, ნიკოლოზის ქ. 21 ტელ. 17—98.
9 ,, ტურგენევის ქ. 3
10 ,, მეორე ქართული კლუბი—პლეხანოვის პროსპექტი. 129
11 ,, პარკის ქ. 33,
12 ,, მეორე ქართული კლუბი პლეხან. პროსპ. 129

როგორც იდეურ მოძრაობას არ ჰყავს თანამგრძნობი და მომხრე. ამერიკა და ევროპა მის წინააღმდეგი არის (ვეშაპელი: სომხეთი მისი მომხრეა). სამაგიეროთ მთელი ეს კულტურული ერები საქართველოს თანაუგრძნობენ და მის უფლებას სცნობენ მაგრამ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა და იმათი მდგომარეობა ვინც ჩვენ გვებრძვის,—აზერბაიჯანის და სომხეთის სულ სხვა არის. თვით კავკასიაში არ არის ისეთი მდგომარეობა როგორც შეიძლება წარმოდგენილი გვქონდეს, ჩვენ ვიცით რომ აზერბაიჯანის მუსულმანური მასსა შელახულია თვით ნამუსით. მას წარსული წლის განმავლობაში მიყენებულ შეურაცყოფით არ შეუძლიან იყოს მორჩილი ბედის და არ შეიძლება გადაწყვეტილი არ ქონდეს, რომ იშოვოს მარჯვე დრო და გადაიგდოს ის უღელი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დაადო.

ჩვენ ვიცით მეტიც: უკვე ხდება აჯანყება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე; ეს გუგუნი უკვე ისმის და დღეს თუ ხვალ შეიძლება ნამდვილი ბრძოლა გამოცხადდეს დამპყრობელების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით ისიც, რომ ოსმალეთის ეს ალორძინებული ნაციონალისტური მოძრაობა ერკვევა თავის დამოუკიდებლობის საქმეში უფრო უკეთ, ვიდრე მისი წინაპრები; შეგნებული აქვს, რომ, როგორც მისი, ისე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საჭიროა კავკასია აღდგეს, როგორც დამოუკიდებელი კრებული.

ასეთია ეს მდგომარეობა, რომელშიაც გვიხდება ბრძოლა.

შეიძლება დაწყებულმა ომმა მიიღოს სერიოზული ხასიათი, შეიძლება რამოდენიმე დღეში შევძლოთ მტრის შემუსვრა, მაგრამ შესაძლებელია მტერი მომარაგებულიყო და უფრო მეტის ძალით მოგვადგა, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ არ მოვექანცოთ არც ომის გამძლეობით და არც მტრის სიმრავლით.

ეს არის ჩვენი შეგნების და მოვალეობის კატეგორიული ბრძანება.

და დღეს, როდესაც მომენტი ასე სდგას, მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ქართველი ხალხი მოიძებნის იმ ენერგიას, რომელიც საჭიროა ამ საფრთხის უკუსაგდებათ. და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ევროპა და ამერიკა, რომლის კულტურულ სახელმწიფო წყობილებას და იდეიას მარტო საქართველო იცავს ბოლშევიკების წინააღმდეგ, ისინი თავის სიმპატიას და დახმარებას არ მოაკლებენ იმ ხალხს, რომელმაც გამოიჩინა გასაოცარი ძალა და სახელმწიფოებრივი შემოქმედება (ტაში—მართალია!)

მე არ გავიმეორებ იმას, რაც აუცილებლად პირს მოადგება კაცს ასეთ დროს, რომ თქვენთან ერთად ვიქნებით, რომ დავიხმარებით ჩვენს მთავრობას, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ამის საბუთები, საწინდრები ჩვენ წარსულშიაც საკმაოდ მოგვიცია და ჩვენი შეგნებული პატრიოტიზმი და ქართველობა სხვას ვერაფერს ვერასოდეს გვათქმევინებს (ხმები: მართალია!) მაგრამ ვტყვით, რომ ჩვენ ამ თავდასხმას ველოდით, როგორც დამფუძნებელი კრება, მისი მთავრობა, ისე საქართველოს შეგნებული ნაწილი. უნდა ვსთქვათ, რომ ამ მოლოდინში ჩვენ ვემზადებოდით, მაგრამ თავს არავის ვესხმოდით. თავდაცვაში ხარბნი და გაუტეხარნი ვიყავით და ვიქნებით.

დიახ! ჩვენ გვქონდა ამის მზადება და ნორმალურ პირობებში, რომ ყოფილიყო მოქმედების დაწყება, მაშინ ის ბრძოლა, რომელიც დღეს სადახლოს სამხრეთით სწარმოებს, არ უნდა გადმოცილებულიყო იმ ქედს, რომელიც არის ბუნებრივი ზღუდე და საზღვარი ჩვენი სამხრეთით.

მაგრამ ეს მოხდა...

ამ ფაქტს ვაფასებთ, გვესმის.

ეს შექმნილი მომენტი გვავალებს ერთ რამეს:

რომ გაორკეცებული ენერგიით მთელმა ხალხმა მთელი თავისი ძალა და ღონე მოიკრიბოს და რაც შეიძლება გაჩქარებული სისწრაფით შეუტიოს მტერს და როდესაც საქართველოს ძალა მიაღწევს თავის მიზანს და უკუ აგდებს შემოსეულ მტერს და თავის საზღვარზე დადგება, მაშინ ჩვენ მოვილაპარაკებთ იმაზე, თუ რათ მოხდა ეს ასე, მანამდე ჩვენ უნდა მივიდეთ გამარჯვებული ბეზობდალზე, ეს არის ჩვენი მოვალეობა და მთელი ქართველი ხალხი აქეთ კენ გასწევს! (ტაში).

ვ. ჯუღელის სიტყვა.

(ტაში) იცის ყველამ, ჩვენმა მტრებმაც და მეგობრებმაც, რომ საქართველოს დემოკრატიას ომი არავისთან არა სურდა, რომ ჩვენ ყოველთვის და განსაკუთრებით ეხლა ვიყავით მშვიდობიანობის და ზავის მომხრე, მაგრამ ჩვენი მეზობლები, რომელნიც სწორეთ ამ სულის კვეთებას ჩვენი დემოკრატიისას არ აფასებდენ, და რომელთაც ეჯავრებოდათ ჩვენი ხალხის თავისუფლება—მუდამ ქურდულათ ესხმოდენ ჩვენს ხალხს. ახლაც ღამით, ქურდულათ, როდესაც ჩვენი ყურადღება მიძინებული იყო, როდესაც ჩვენი ჯარისკაცები და გვარდიელები იმდენად დაუახლოვდენ ადგილობრივ მცხოვრებთ, რომ ბავშვებსაც კი უნათლავდენ და მათთან ნათესაობას იჭერდნენ,—სწორეთ ამ დროს ჩვენმა მოღალატემ, მუხანათმა მტერმა ღამით ქურდულად მოიტანა იერიშები და ისარგებლა ბნელი ძალებით, რომლებიც ჩვენ შემოუშვით ჩვენ საზღვრებში, როდესაც მათ სრული განადგურება მოელოდათ, ღამე ჩვენი ხელმძღვანელები ჩახოცეს იმ დროს, როდესაც გარეთ გამოდიოდნენ; მათ ავაზაკური გზით მოისურვეს ჩვენი დემოკრატიის დამხობა (ვეშაპელი: შურს ვიძიებთ) ეს ფაქტი იმას ამტკიცებს. რომ ჩვენ ომი არ გვსურდა და ჩვენ ვაწარმოებდით თავდაცვის საქმეს, საქართველოს დემოკრატიას არ ჰქონია სურვილი სხვის საზღვარზე გადავლისა და ვისიმე დამონავების. მაგრამ მას შემდეგ, როდესაც მტერი ხმალს იშიშვლებს—ჩვენ იძულებული ვხდებით ვიშიშვლოთ ხმალი და თქვენ იცით, და თქვენზე უკეთესად ჩვენმა მტრებმა იციან, რომ გამარჯვებულ ხმალს ჩვენ უკანასკნელად ვაგებთ ქარქაშში და დღეს, როდესაც ჩვენმა მტერმა პირველად იშიშვლა ხმალი,—ჩვენ დარწმუნებული, ვართ რომ ჩვენ გამარჯვებულ ხმალს ჩვენ უკანასკნელად ჩავაგებთ და ეს გამარჯვება უფრო დიდი იქნება—ვინემ ოდესმე გვინახავს (კედია: არ გაჩერდეთ]. და როდესაც ჩვენმა მთავრობის თავმჯდომარემ და სხვა და სხვა პარტიებმა სთქვეს აქ განმეორება 1918 წ. ამბავისო—მე უნდა ვსთქვა—მართალია აქ განმეორდა 18 წ. ამბავი, მაგრამ განმეორდება მოწინააღმდეგის დამარცხებაც, მარა ეს დამარცხება არ იქნება ისე და უმოლოდნელი, როგორც იყო წინეთ. [ტაში: ვეშაპელი: არ დაივიწყოთ ეს], ამ გამარჯვებას ბევრი დიდი შედეგები მოჰყვება. მე მგონია, რომ საქართველოს დემოკრატიამ ამ მომენტით უნდა იმაყოს. საქართველოს დემოკრატიამ ან უნდა ითამაშოს დიდი როლი ამ მთელი ქვეყნის გზაჯვარედინზე ან უნდა დაიღუპოს,—მესამე გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ, რადგანაც ჩვენ არ გვწამს ჩვენი დემოკრატიის დაღუპვა—ისინი დაიღუპებიან,—ვინც ჩვენს წინააღმდეგ აშკარად, თუ ფარულად მოდიან და საქართველო, სრულიად წელში გამაგრებული, ჩადგება იმ ერთა რაზმში, რომელსაც საერთაშორისო ლამპარი წინსვლისა ხელთ უპყრიათ (ტაში). ჩვენ კარგათ ვიცნობთ ჩვენს მეზობლებს, ვიცით, რომ ჩრდილო აღმოსავლეთელი მეზობლები და სომხეთი ჩვენთან არ არიან მეგობრულ განწყობილებაში.—მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ მეზობლებში სრული თანხმობა არ არის. ფორმალურად მაინც მოსკოვი განზე სდგას ფორმალურად მაინც მოსკოვი მთელი მსოფლიოს და პროლეტარიატის წინაშე აშკარათ მაინც გულში მახვილს ვერ ჩაგვცემს,—მოსკოვი ამას აშკარად ვერ იზამს. მაგრამ არის სხვა გზები შორიდან შემოსასვლელი გზები;—ასეთი გზა არის ბაქო და აქ ხელმძღვანელებად არიან ჩვენი ხალხიდან გარიცხულები: ბ-ნი შალვა ელიავა. სერგო ორჯონიკიძე, კვანტალიანი და ბევრი სხვა (ხმები: ზიზღი მათ ვინც გაჰყიდა მშობელი დედის ძუძუ. (ვეშაპელი ტფილისშიაც არიან) და აქ დღეს ზიზღით ვიხსენიებთ მათ, და როდესაც ჩვენ გამარჯვებული დავბრუნდებით—მაშინ ამ ზიზღს დავივიწყებთ.—მაგრამ მე მგონია რომ საქართველოს დემოკრატიამ უნდა შეითვისოს საბერძნეთის ძველი დემოკრატიის პრინციპი. საბერძნეთის დემოკრატია თავის მოღალატეებს ასტრაკიზმის საშუალებით სამუდამოდ განდევნიდა ხოლმე თავის საზღვრებიდან ვეშაპელი: მართალია ჩვენი უმთავრესი დაუძინებელი მტერნი არიან შინაური და ჩვენი ხალხი არასოდეს არ უნდა შეურიგდეს მათ.

ჩვენ სრული რწმენა გვაქვს ჩვენი გამარჯვების, ჩვენ უკვე დიდ ომში ჩავერიეთ. მართალია ფორმალურად არ გამოუცხადებიათ ჩვენთვის ომი, მაგრამ მეოთხე წელია რაც ჩვენ ომი გვაქვს, და ამ ხნის [განმავლობაში ჩვენთვის ომი არავის გამოუცხადებია. საუბედუროთ ჩვენ არ გვქონდა საშუალება ჩვენი საომარი ხმალი ქარქაშში ჩაგვეგო ან გადაგვეტეხა.

როდესაც ხალხის საუკეთესო შვილები ფრონტზე მიდიან—ჩვენც უნდა დავრაზმოთ ამ ფრონტის ირგვლივ და უნდა შევქმნათ მეტი სულიერი სიძლიერე და თავდადებულობა, რომელიც ფრონტს გამარჯვებას ანიჭებს.

(ტაში)

დამფუძნებელი კრების მოწოდება.

სამშობლოს ერთგულთ.

სომხეთით და აზერბეიჯანით მტერი კვლავ თავს დაგვესხა. დაგვესხა მუხანათურათ, ომის გამოუცხადებლივ. მამაპაპური ვაჟკაცობით ბრძოლაში უკვე ჩაება პირველ რიგში მდგომი ჯარი და გვარდია და გმირულის თავდადებით იცავენ სამშობლოს დიდებას და დამოუკიდებლობას. საერთო ხიფათის დროს მთელი ქართველი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს და უზენაესი მსხვერპლის გასაღებათ განემზადოს. ჩვენ ვიცით, სამშობლოს გაჭირვების დროს, შინ, კერას პირას, გული არ დაუდგება არც ერთ ქართველ ვაჟკაცს, რომელიც ჯარში გაწვეული არ არის და დღეს სხვებთან ერთად არ იხდის თავის სალდათო მოვალეობას საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მოუწოდებთ სამშობლოს ერთგულთ, რომ დაუყოვნებლივ მიიქცენ თავის პარტიულ ცენტრებში და პროფესიონალურ კავშირებში: იქ მიიღებენ სათანადო ბარათებს და ამ ბარათებით გამოცხადდით დამფუძნებელ კრებაში, მოხალისეთა სამობილიზაციო ბიუროს წინაშე.

მაშ, ყველანი, ვისაც გული გვერდის და ძარღვში სისხლი გვიდუღს, ვინც ჯარში არ ვართ გაწვეულნი და ჯერ არ ვომობთ,—ყველანი ჩავებათ მოხალისეთა რაზმში და მივეშველოთ ფრონტზე თუ ზურგის სამსახურში ჩვენს სიამაყეს და იმედს—ჯარს და გვარდიას—და მათთან ერთათ დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლება და ღირსება.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიასთან არსებული მოხალისეთა

სამობილიზაციო ბიურო.

ხელს აწერენ:

ალ. ლომთათიძე.
გრ. რცხილაძე.
სპირიდ. კედია.
ზაქ. გურული.
ილ. ნუცუბიძე.

1921 წ. 16 თებერვალი.
ქ. ტფილისი.

ომის გარშემო.

შვებულებიდან დაბრუნება 1894—95 წლებში დაბადებულთა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს შემდეგი შინაარსის ბრძანება გაუგზავნა:

დამატებით 1920 წლის 5 ნოემბრიდან № 4320 დეპეშისა გაცნობებ, რომ თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ამ დეპეშის მიღებისთანავე დაბრუნებულ უნდა იქნან თავთავიანთ ერთეულებში ყველა 1894-1895 წლებში დაბადებული ჯარისკაცნი, რომელნიც იმყოფებიან შვებულებაში განსაკუთრებულ განკარგულებამდის. ამის გამო წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა აღნიშნულ წლებში დაბადებული ჯარისკაცნი სასწრაფოდ გამოცხადდენ თქვენთან. გამოცხადებულ ჯარისკაცებს თქვენ უნდა მისცეთ სამგზავრო ლიტერი დანიშნულ ადგილამდე ამ ჯარისკაცებს საგზაო კმაყოფა უნდა მიეცეს საერთო წესით ისე, როგორც მობილიზაციით გაწვეულთ. ჯარისკაცები გაგზავნეთ მცირე გუნდებათ უფროსების დანიშვნით იმ ბადრაგთა შემადგენლობით, რომელიც თქვენ გყავთ. ერობამ უნდა მიიღოს ზომები. რომ ჯარისკაცნი ცხადდებოდენ იმ სახაზინო ბარგ-ნივთებით, რომელიც მათ აქვთ წაღებული ერთეულობიდან. აწარმოეთ გამოცხადებულთა აღრიცხვა. და მათი რიცხვი წლების მიხედვით და ერთეულთა აღნიშვნით გამოგზავნეთ ამის შესახებ განსაკუთრებულ ბრძანების მიღების შემდეგ, ყველა ეს ჯარისკაცები უნდა გზავნოთ ერთეულების მუდმივ ბინებზე, როგორც გზავნით ამ ჟამად ახალ წვეულებს.

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

მფრინავი რაზმის წევრებს

(თბ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან არსებულ მფრინავი რაზმის შტაბისაგან).

ამხანაგებო! ჩვენი საზღვრების აღმოსავლეთით კვლავ წამოიგრაგნა შავი ღრუბლები: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოს საზღვრების ერთგულ მცველებს ჩუმათ, შიპარვით თავს დაესხა ვერაგი მტერი. ბრძოლის ველზე ჩვენი ძმები თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ბრძოლის ველზე გამარჯვების აუცილებელი თავდებია ზურგის გამაგრება, მისი სიმტკიცე და უზრუნველყოფა.

თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებულ მფრინავი რაზმის შტაბი აცხადებს თავის წევრების მობილიზაციას. მობილიზაციის დღეთ დანიშნულია ოთხშაბათი 16 თებერვალი საღამოს 6 საათზე, სეკრეტარიატის ბინაზე. მფრინავი რაზმის წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ დანიშნულ დროზე მფრინავ რაზმში ჩაწერის სურვილებს შეუძლიანთ ჩაწერონ შტაბის წევრებთან—სეკრეტარიატის ბინაზე.

მოხალისეთა რაზმი

შესდგა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა რაზმი, რომლის ბიურო მოთავსებულია სასახლეში ოთახი №29, (ტელეფ. 6—18). ამის გამო გენ. გუბერნატორი მიმართავს ყველა მსურველთ ჩაეწერონ ამ რაზმში.

ყოფილ ოფიცრებს.

მამული განსაცდელშია. მისი დაცვა სამღთო მოვალეობაა ყველა მოქალაქისა და მით უმეტეს ყოფილი ოფიცრისა. დამფუძნებელ კრების ნებართვით და საქართველოს დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით სდგება ლაშქარი მამულისა და წესიერების დასაცავად ქ. ტფილისში. ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია და სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულია ოფიცერთა გამგეობა სთხოვს დროს დაუკარგველად გამოცხადდეს გაზეთ ,,საქართველოს'' რედაქციაში 17 თებერვალს დილის 9 საათზე და ჩაეწეროს მამულის დამცველთა რაზმში

გამგეობა.

სამხედრო საგანგებო სასამართლო.

ტფ. გენერალგუბერნატორის ბრძანებით საგენერალ გუბერნატოროში მთელ რიგის საქმეთა გასარჩევად, რომელნიც გათვალისწინებულია ივლისის 5-ს 1918 წ., კანონით დაარსდა სამხედრო საგანგებო სასამართლო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ალფეზ ხილაძე. რომელიც მიიწვევს დანარჩენ წევრებს გენ. გუბერნატორთან შეთანხმებით.

პროფ. კავშირში

სომხეთის რეგულიალურ ნაწილების საქართველოზე ვერაგულად თავდასხმის გამო მოწვეულ სხდომაზე თებერვლის 15 პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმას. კომიტეტმა დაადგინა: 1) მიმართოს პროფ. კავშირთა საერთაშორისო ბიუროს პროტესტით საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრების გამო. მიმართვის ტექსტის შემუშავება პრეზიდიუმს მიენდო. 2. მიმართოს რესპუბლიკის ყველა პროფ. კავშირს და საბჭოს წინადადებით, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვის საქმეში და აღმოუჩინონ მართველ პირებს ადგილობრივად ყოველგვარი დახმარება. 3. მიეცეს წინადადება თბილისის პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს, მოიწვიოს კვირას, 20 თებერვალს, გაერთიანებული სხდომა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისა, პროფ. კავშირთა გამგეობებისა და მუშათა სხვა ორგანიზაციებისა.

პატრულები

გენ. გუბერნატორის განკარგულებით გუშინდლიდან ქალაქის ქუჩებში დაიწყეს პატრულებმა დარაჯობა.

გენერ.-გუბერნატორის განკარგულებანი

რესპუბლიკის კანონთა კრებულის დამატების მე 2 ტომის 23 მუხლის თანახმად ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემს მიერ გამორიცხულ იქნებიან საერთო წესიდან და გადაეცემიან საგანგებო სამხედრო სასამართლოებს, რომელნიც არსდებიან დამფუძნებელ კრების 1919 წ. ნოემბრის 11-ის დეკრეტის ძალით. ის პირნი, ვინც ამის გამოცხადების შემდეგ ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროს ტერიტორიაზე ჩაიდენენ იმ ბოროტ მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია 1918 წ. ივლისის 5-ის კანონში, სახელდობრ:

1) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ;

2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წეს წყობილების შეცვლას შეიარაღებული ძალით;

3) ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებულ მართველობის წინააღმდეგ;

4) ვინც ჩაიდენს წინასწარ, ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას;

5) ვინც განზრახ ცეცხლის წაკიდებით, ან რაიმე სხვა გზით გაანადგურებს, ან გააფუჭებს სამხედრო მასალას, ან საზოგადოდ იმას, რაც წარმოადგენს თავდასხმის თუ თავდაცვის საშუალებას, ან სათადარიგო დამზადებულ სურსათს, გინდ ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო, გინდ საზოგადო შენობას;

6) ვინც განზრახ გაანადგურებს ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკ. გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას, ან რაიმე მათ მოწყობილობას ან გასაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც დაწესებულია რკინის გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისათვის, თუნდაც ბოროტმოქმედს განზრახვა არ ჰქონდეს საფრთხეში ჩაეგდო რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი, ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო, თუ სათამადნო დარგის ისეთ მოწყობილობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისთვის;

7) ვინც გაძარცვავს ან იარაღით თავს დაესხმის ვისმე, ან წაართმევს ქონებას.

8) ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელსამე იმ ბოროტ-მოქმედებათაგანს, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წ. 12 ივლისის დადგენილებაში.

ბ. ჩხიკვიშვილი.

სავალდებულო დადგენილება

ქალაქ თბილისისა, თბილისის და ბორჩალოს მაზრებისა, რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზებისა და ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროების რაიონების გენერალ გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება.

15 თებერვალი 1921 წ. ქალ. თბილისი 1. აკრძალულია ყოველგვარ კრებისა და მიტინგების მოწყობა ქალაქის მილიციის უფროსის პოლკოვნიკ სულაქველიძის უნებართვოთ, რომელსაც აქვს მიცემული ჩემგან ამის რწმუნება.

2. როგორც ყოველდღიური, ისე ყოველკვირეულ გამოცემათა თითო ეგზემპლიარი გამოცემის დღეს უნდა წარდგენილ იქნეს გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. 3 ქალ. თბილისის სახლის პატრონები, ბინის დამქირავებელნი, სასტუმროთა და მოწყობილ ოთახების პატრონები ვალდებული არიან შეატყობინონ მთავრობის სათანადო წარმომადგენელთ არა უგვიანეს 24 საათისა საბინაო დავთრებში შეტანილი სწორი ცნობები ჩამოსულ და აქედან გასულ პირთა შესახებ. ამ ცნობებში უნდა იყვეს აღნიშნული საიდან ჩამოვიდენ და ან სად წავიდენ აღნიშნული პირები. 4) ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით ციხეში სამი თვით დამწყვდევათ ან 100·000 მან. ჯარიმის გადახდით.

გენ. გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი.

ქრონიკა

— **ტყვეების ჩამოყვანა.** გუშინ წინ თბილისში ჩამოიყვანეს პირველი წყება ტყვეებისა. ტყვეები საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ: დაგლეჯილ-დაფლეთილნი, ფერ-მიხდილნი. მათ შორის ურევიან მცირე-წლოვანნიც სუყველა სომხებია. ქალები და ბავშვები ცალკე ეტლზე იყვნენ მოთავსებულნი, დანარჩენი ქვეითად. ტყვენი ბორჩალოს მაზრიდან არიან. ერთი გამოკითხვით ისინი თავს აბრალებენ და მოაჯანყეთა შორის არ თვლიან თავიანთ თავს.

— **გენ.-გუბერნატორის ადიუტანტად** დაინიშნა ლეიტენანტი მელქისედეკ ჭავჭავაძე.

— **ცხენების მობილიზაცია.** გამოცხადდა ცხენების მობილიზაცია მთელ თბილისის მაზრაში. სათანადო ტელეფონოგრამები უკვე დაეგზავნათ გენერ. გუბ. მიერ ერობებს და თემებს.

— **საბიუჯეტო მასალები.** ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს რომ მიუხედავათ იმისა, რომ ყველა სათანადო უწყებებს საბიუჯეტო მასალები უნდა წარმოედგინათ 1 თებერვლამდე, დღემდის არც ერთ უწყებას გარდა სახელმწიფო კონტროლისა არ წარმოუდგენიათ ეს მასალები. მინისტრი სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს გასცეს ბრძანება რათა აღნიშნული ცნობები ყველა უწყებამ დროთი წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს.

— **აბრეშუმის თესლი.** მიწ. მოქმედების მთავარ რწმუნებულის ბ. ქუთათელაძის განკარგულებით ბათომში იგზავნება ბ. ზეიდლიცი, რომელმაც უნდა მიიღოს იტალიიდან. მიღებული აბრეშუმის თესლი და ჩამოიტანოს ტფილისში საბრეშუმო სადგურზე შესამოწმებლად.

პროვინციის გამოხმაურება.

მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრების, ჯარს და გვარდიას მოუვიდა შემდეგი დეპეშები:

ჭიათურა. ახალ განსაცდელის წინაშე ჭიათურის სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრება იმედიანათ შეჰყურებს მომავალს, დარწმუნებული, რომ ჩვენი მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველი დემოკრატია შესძლებს ღირსეული პასუხი გასცეს ვერაგ მტერს; ჩვენ მზათ ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ მტრის დასამარცხებლათ. გაუმარჯოს თავდაცვას.

სამტრედია. 15. რკინის გზის საქართველოს რაიონის პროფესიონალურ კავშირის საქციურ გამგეობათა შერთებული კრება, აღშფოთებული რესპუბლიკის დაუძინებელ მტერთა მოღალატური თავდასხმით მოესალმება ხურვალეთ და აღგითქვამთ, რომ ამ ტრეის მიერ ძალით თავზე მოხვეულ ბრძოლაში მთელს ჩვენი ძალღონით ვიქნებით თქვენთან ერთად. აღფრთოვანებული უტეხი რწმენით, რომ ჩვენი წმინდა დროშა, როგორც მრავალჯერ, ისე ამ ომშიაც გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ქარიშხლიდან და ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, თუ რა შეუძლია დამოუკიდებელ საქართველოს ერთსულოვან დემოკრატიას. დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს.

ძირულა. ძირულის თემის ხმოსანთა თუთხმეტი თებერვლის კრება აღშფოთებულია მტრის მუხანათური თავდასხმით. აღგითქვამთ ყოველ მხრივ დახმარებას. უგზავნით თავდაცვის კომისიას ორმოცდა ათი ათას მანეთს. გაუმარჯოს დემოკრატიულ ფრონტს და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ზაქათალის დელეგაცია.

14 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ი. ჭამჭანიძე ინახულა ზაქათალის ოლქიდან გადმოხვეწილ ლეკების დელეგაციამ.

დელეგაციის მეთაურმა მინისტრის ამხანაგს შემდეგი განცხადებით მიმართა: ,,ჩვენ გავიგეთ, რომ ევროპის სახელმწიფოებმა საქართველო იურიდიულად იცნეს და ამით სამუდამოთ დააკანონეს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა. ამ დიდ მნიშვნელოვან აქტით აღფრთოვანებულმა ლეკობამ წარმოგვგზავნა საქართველოს მთავრობასთან მილოცვით და სალამით. გთხოვთ გადასცეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას ჩვენი უწრფელესი გრძნობები. ჩვენ არ შეგვიძლია დაივიწყოთ საქართველოს რესპუბლიკას მთავრობის სტუმართ მოყვარეობა; ჩვენს შვილებსა და შვილის შვილის შვილებს გადაეცემათ იმ მზრუნველობის ამბავი, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენს მიმართ ამ ცხრა თვის განმავლობაში. ამიერიდან არა მარტო ჩვენ, გადმოხვეწილნი—ვგრძნობთ, რომ ჩვენი ხსნა არ არის საქართველოს გარეშე, არამედ, ამასვე გრძნობენ ზაქათალის ყველა ლეკის მცხოვრები, რომელთა მისწრაფება და სულისკვეთება ჩვენ კარგათ ვიცით.

საქართველო ჩვენი დიდი სამშობლოა და მისგან მოველით ხსნასა და შველას. მინისტრის ამხანაგმა დელეგაციას მადლობა გადუხადა მილოცვისათვის და აღუთქვა, რომ იგი მოახსენებს მთავრობას ლეკობისაგან მილოცვის მიღების შესახებ. (ს. დ. ს.)

პრესსა.

„ახალი სხივი“ და „ერთობა“

გაზ. ,,ახალი სხივში'' მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით ,,სულიერი სოლდატაჟი'', რომელიც ეხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამეფებულ დიქტატურას. გაზეთი მკაცრი ტონით ჰკიცხავს მართველ პარტიის მოქმედებას. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები!

,,ფსიხოლოგიური ტერორი, ძალდატანება, ათასგვარი ხრიკებით ზედაცლენა და ს. აი ის ზომები, რომელსაც მიმართავს ის ჯგუფი, ვისაც მოწინავე ამხანაგებმა და პარტიულ ფართო მასამ ,,კამარილა'' უწოდა''.

,,ნუ თუ საქართველოს მშრომელი მასა დაივიწყებს იმას, თუ რა ჯალათობა ჩაიდინა იმ ინტრიგანთა წრემ, ვინც აწამა ძვირფასი ლადო დარჩიაშვილი? ნუ თუ ჩვენ არ გვახსოვს, თუ რა საზიზღრობა ჩაიდინეთ თქვენ პატივცემულ ამხანაგის ვანო გომართელის წინააღმდეგ. ან იქნებ იგი არ მოგვინათლავთ თქვენ ,,რენეგატად''? ნუ თუ ჩვენ არ ვიცით, თუ რა მახეს უგებდით თქვენ ამხ. აკაკი ჩხენკელს? და რომ უკანასკნელი ისეთ თვალსაჩინო პოსტზე არ ყოფილიყო მაშინ, იქნებ ისიც ,,რენეგატების'' სიაში მოგეთავსებინეთ, თუმც წერით და სიტყვით არ დაგიკლიათ. და ამ პირთა წინააღმდეგ თქვენ ილაშქრებდით მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი დამოუკიდებელი აზრი და ბრმად არ მოგყვებოდათ თქვენ. შემდეგ კი მათი აზრი შეითვისეთ და უსირცხვილოდ საკუთარ

აზრად გამოაცხადეთ. „რენეგატებმა“ თქვენ მკუა და რიგიანობა გასწავლათ —დროებით მაინც.

ჩვენ ვიცით ისიც, რომ თქვენ ახლაც „ცივად“ ეპყრობით ამხ. ჩხენკელს..., გაიხსენეთ მისი მოხსენება ბათუმის ოლქზე და ჩხიკვიშვილის ურა —პოლიტიკის შესახებ და სხ.“

გაზეთში კიდევ ბევრია სხვა წერილებიც ამგვარივე შინაარსის. მაგრამ მოყვანილი ციტატაც საკმარისად ახასიათებს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში გამეფებულ ინტრიგანობასა და დევნას.

ამის შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს რომ იმავე პარტიას თავისი მეთოდები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზედაც გადმოაქვს.

წერილები თეთრი დარბაზიდან

წერილი მეორე.

ჩვენს დამფუძნებელ კრებას, როგორც პარლამენტს, გარდა ქართული პოლიტიკის საკითხებისა და კანონმდებლობისა, ერთი პრობლემაც აქვს გადასაწყვეტი. შესძლებს თუ არა პარლამენტი და პარლამენტარიზმი აზიაში თავის დამკვიდრებას? ეს დიდი პრობლემაა. რადგანაც პარლამენტებმა სპარსეთსა და ოსმალეთში, ამ ტიპიურ აზიურ ქვეყნებში, ნაყოფი ვერ გამოიღეს. პარლამენტი ვერ დამკვიდრდა ისეთ შედარებით დაწინაურებულ აზიურ ქვეყანაშიც, როგორც არის რუსეთი და პარლამენტის ნაცვლად იქ საბჭოთა სისტემა განვითარდა. რუსულ ამბების მიზეზი სოციალიზმსა და კომუნისტურ იდეაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ რუსულ ბუნების აზიელობაში. ვიდრე რუსეთში სათათბირო არსებობდა—მას რეკავდა მეფე ხელიდან, როცა შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, ის გარეკა ხალხმა ქვეიდან. ამრიგად, ორი აქტიური ძალა რუსეთში—მეფე და ხალხი—პარლამენტს ვერ იგუებდა. სად უნდა მოვძებნოთ მიზეზი, თუ ჩვენშიც, საქართველოში, პარლამენტი ბერწი პანდორას მუცელი გამოდგა. ამის მიზეზი ჩვენშიაც ის იქნება, რასაც ევროპიელები აზიელობას ეძახიან.

პარლამენტი ისტორიულად ევროპიული მოვლენაა. უფრო მეტიც—ის ლათინთა ხალხის დაწესებულებაა. კორტესები ესპანიაში, პარლამენტები და გენერალური შტატები საფრანგეთში, ჯერ კიდევ მაშინ დაწესდა, როცა ამ ქვეყნებში კონსტიტუციური უფლება შემოსული არ იყო. საფრანგეთის ეროვნული კრება იგივე გენერალური შტატები იყო, რომელმაც მეფისა, თავადაზნაურობასა და სამღვდელოების ინტრიგების ასალაგმავად რეგლამენტი შექმნა და თავისი თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადა.

აზიაში? აზიის ისტორიას არ ახსოვს რეფორმაციის, გლეხთა ომების და რევოლიუციების მაგვარი რამ აზია სამშობლო იყო ყველა დიდი რელიგიების, აზიის სიბრძნე, პოეზია, არხიტექტურა მონუმენტალობამდე ავიდა, მაგრამ ყველაფერი ეს თითქმის რეალურ ქვეყნის გარეშე იდგა. ყველა ამას ზღაპრის ხასიათი ჰქონდა. ნებას, დისციპლინას და გამოყენების უნარს, ამ უდიდეს ევროპიულ ნიჭს, აზიაში ადგილი არ ჰქონია ხელს აზიაში არაფერი არ გაუკეთებია. აზია ჰგავდა ქვით სავსე კალათს, რომელშიც ხელის ჩაყოფა ამ ქვების დასალაგებლად მიზანშეუწონელი რამ იყო, მისთვის გარედან უნდა გეკრათ შუბი, რომ ქვები ბუნებრივად თვითონ დალაგებულიყვნენ, და აი ამ როლში გამოდიოდენ აზიის გამოჩენილი დამპყრობელნი. რა არის დეკადანსი, რა არის რენესანსი—აზიამ არ იცოდა. ფირდუსს შეეძლო ეცხოვრა უსასტიკეს შაჰის დროს და უმაღლესად ჰუმანიურ რელიგიის გამოცხადების დროს შესაძლო იყო ხალხთა დიდი გადასახლება—ეს მსოფლიოს უდიდესი აწიოკება—მომხდარიყო.

და აი, ასეთ ქვეყნის მიჯნაზე და მაშინ, როცა ჩვენ თითონა ვართ აზიელები, ჩვენ ვაარსებთ ისეთ წესწყობილებას, რომელიც ყოველთვის უცხო იყო ევროპისათვის ამ გაცილებით დიდ ქვეყნისათვის. ჩვენი ბრძოლა რუსულ კომუნიზმთან ბრძოლაა სწორედ ამ აზიელობასთან და ჩვენ უნდა ხელახლად დაუმტკიცოთ კაცობრიობა, რომ ყველაფერი აზიიდან გამოვიდა. აზიიდან გამოვიდნენ თვით პარლამენტარულად მოწყობილნი დღევანდელი ევროპიელნი და ჩვენც მოვრბივართ იქიდან, მოვრბივართ, რადგანაც მოგვწყინდა აზიელობა და გვსურს შემოქმედება პიროვნული საზოგადოებრივი, ეროვნული და არა მატერიული, ტირანული და ნირვანული.

შ. ამირეჯიბი.

უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საფრანგეთის სესხი.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: ნიუორკში დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის ახალი სესხის შესახებ. ამერიკის ფინანსისტები მოითხოვენ, რომ ამ სესხის პირობები იქნეს შეფარდებული და დამოკიდებული ამერიკის ფულის ბაზრიდან და რომ ეს პირობები გადაეცეს განსახილველად ნიუორკის ბანკირებს. სესხი დაახლოვებით ას მილიონი დოლარით არის განსაზღვრული.

ქართველი ბურჟუაზიის ლტოლვა.

მოსკოვის გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა; თბილისი. დეკემბრის 29 საქართველოდან ბურჟუაზიის ლტოლვას მასიური ხასიათი აქვს. უცხოეთისკენ მიმავალი გემები სავსეა გაქცეული ქართველი სპეკულიანტებით.

ანტიბოლშევიკური ფრონტი.

ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური პარტიები კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად გაერთიანდენ და ბლოკი შეადგინეს.

ბლოკმა მიმართა მთავრობას წინადადებით, აწარმოოს სასტიკი ბრძოლა ბოლშევიკების იმ დემაგოგიურ გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც არსებულ წესწყობილების დამხობისაკენ არის მიმართული.

გენ. გუბერნატორის ბრძანება.

ქ. ტფილისი. თბილისისა და ბორჩალოს მაზრების რესპუბლიკის რკინის გზების და ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროების რაიონის გენ. გუბერნატორისა.

თავდაცვის საქმის დამშვიდებული წარმოებისათვის საჭიროდ ვცანით დავავალო ტფილისის ყველა მოქალაქეებს განსაკუთრებული წესრიგის შენარჩუნებას ყოველი მხრით ხელი შეუწყონ. შექმნილი რთულ მდგომარეობის გამო რესპუბლიკის მტრების აგენტები დაიწყებენ ენის სისინს, სხვის წაქეზებას, პანიკის შეჰქმნას და ჭორების გავრცელებას.

დამნაშავენი დაუყოვნებლივ იქნებიან გასამართლებულნი სამხედრო სასამართლოს მიერ, ყველა იმ პირთ ვისაც იარაღი აქვთ, ებრძანებათ, წინადადებას ვაძლევ ორი დღის განმავლობაში ჩააბარონ ქ. მილიციის უფროსს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სამხედრო სასამართლოში მიეცემიან.

ღამის 10 საათის შემდეგ დილის 6 საათამდე ქუჩაში გამოსვლა კერძო პირთათვის, გარდა ექიმებისა სასტიკად აკრძალულია. დამრღვევნი ამ მუხლისა დაპატიმრებულნი იქნებიან.

გარნიზონის უფროსს უბრძანებ ქუჩებში იყოლიოს საკმაო რიცხვი სამხედრო პატრულებისა წესრიგის დასაცავად.

ეს ბრძანება ვრცელდება ყველა ადგილებზე, სადაც კი სახედრო წესებია გამოცხადებული და მისი სისრულეში მოყვანა ევალება სათანადო მილიციის უფროსს, ტყვიბულის რაიონში ჩემს რწმუნებულს კონს. კანდელაკს, ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსს მგელაძეს.

ბ. ჩხიკვიშვილი.

ევროპა-ამერიკის ეკონომიური ვითარება

(მომარაგების სამინისტროს განმარტების გამო).

გაზეთებში გამოქვეყნებული იყო მომარაგების სამინისტროს მიმართვა ერობათა კავშირისადმი. ამ მიმართვაში მკაფიოდ მოსჩანს სამინისტროს შეხედულება და დაფასება თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობისა.

ომმა გამოიწვია მრეწველობის გადაჯგუფება: ზოგ სამრეწველოების სრულიად შეჩერება და მათი ნაწარმოებთა გასაღების ბაზრის სრულიად დაკარგვა, ზოგ სამრეწველო წარმოებათა გადაკეთება სამხედრო მიზნებისათვის და პირვანდელ წარმოების მოსპობით საკუთარ ბაზრის დაკარგვა და მხოლოდ-და ფრონტისათვის მუშაობა. ზოგან, მაგ., ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში და ბელგიაში სრულიად გაანადგურა ომმა ყოველგვარი წარმოება და დაღუპული-მხოლოდ აღდგენას ანდომებენ მთელს დროსა, დიდძალ ენერგიასა და საშუალებებს აგერ მესამე წელიწადია.

ყველა ამ ადგილებში: ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრიაში და მოსაზღვრე ქვეყნებში ნაწილობით შემცირდა, ნაწილობით შეჩერდა მრეწველობა ომის დროს და მათი ადგილი დაიჭირა წვრილმა წარმოებამ ან კიდევ ხელოსნობამ. მეორეს მხრივ მილიონები ჯარში იყვნენ გაწვეულნი და მშვიდობიან საქმიანობას მოწყვეტილნი. კულტურულ კაცობრიობას ორმოცდა ათი მილიონი მოქალაქე წაართვა და ჯარში თოფის ქვეშ დააყენა ომმა! ამათ შორის უმეტესობა გლეხობა და მუშა-ხალხი იყო. მათი შრომა მოაკლდა სახალხო მეურნეობას, მათი ცოდნა და დახელოვნება შეეწირა ომს და თითქმის სამუდამოდ დაეკარგა წარმოებას, რადგან ბევრი მათგანი დაღუპულია, და კიდევ მეტი მილიტარიზაციის გამო ნერვებ-დასუსტებული.

ომის გათავებას მოჰყვა სამხედრო საჭიროებათა და სათანადო ნაწარმოებთა ჩამოცილება. ბაზარს, სახელმწიფოს აღარა აქვს მოთხოვნილება სამხედრო მასალებში, მაგრამ ერთბაშად დაგროვილი მასალების გაუქმებაც არ შეიძლება. ლონდონსა და პარიზში მთავრობებმა ჩალის ფასად გაჰყიდეს საჯაროდ დიდძალი მასალები. უკან დაბრუნებულ ჯარს მოვლა უნდა: ფულით, სანოვაგით, სამუშაოს მიცემით. მილიონები უნდა დაუბრუნდეს მშვიდობიან შრომას, რომლის ზომა მინიმუმამდეა შემცირებული ომიანობის დროს. უკან დაბრუნებულ მილიონების დატევა სახალხო მეურნეობას აღარ ეხერხება და უმუშევართა საკითხი მძიმე ხასიათს ღებულობს. ამასობაში რუსეთი, ავსტრია, გერმანია, ნაწილობრივ ჰუნგრეთიც სავსებით გამოაკლდენ მსოფლიო ეკონომიკის აქტივს და მას შრომა აკლდება მსოფლიო წარმოებას.

ომმა დიდძალი ფინანსები შთანთქა: მილიარდები დაჰხარჯეს ევროპის სახელმწიფოებმა და კიდევ მილიარდები ასესხეს ამავ ომისათვის. მხოლოდ ერთი ამერიკის ვალი ჰფარავს ევროპას ათ მილიარდ დოლარამდე, რომლის ყოველწლიური პროცენტების გადახდაც შეუძლებელი ხდება არსებულ პირობებში, ომის შემდგომ.

ცხადია, ომმა დიდი კვალი დაამჩნია მსოფლიო ეკონომიკას და „რიიდჯუსტმენტ“-ის, „ისევ—მორგების“ საკითხი ომის დროს აშლილისა და ჯერ კიდევ მოუწყობელ მრეწველობისათვის მძიმე და აუტანელი საკითხია. ყოველ ომს თან სდევს ეკონომიური აღრევა. განსაკუთრებით უკანასკნელ ომს უნდა მოჰყოლოდა თან ასეთი აღრევა, რადგან ვერსალის პირობებით, პირველ-ხარისხოვანი სახელმწიფონი მრეწველობის თვალსაზრისით, მაგ., გერმანია უნდა გახდენ სრულიად უკანასკნელ ქვეყნებად და დაქვეითებული ქვეყნები კი პირველთა ადგილზე უნდა წამოსკუპდნენ. ადვილი იყო კლემენსოსათვის ამის ქაღალდზედ დაწერა, მაგრამ ძალიან ძნელი იყო ყველასათვის მისი სინამდვილეში გატარება, რადგან ამისათვის საჭირო იყო ცოდნა-გამოცდილება, დიდი ტეხნიკა, მოწყობილი სამრეწველო აპარატი, რომელიც მიჩნეულთა და რჩეულთ არ აღმოაჩნდათ. შედეგი ის იყო, რომ ძალადობით შეჩერდა მსოფლიო წარმოების მაჯისცემა, და ჯერ კიდევ არ არის დათრგუნვილი ის ხელოვნური პირობები, რომელნიც ხელს უშლის ნამდვილ მწარმოებელთ მთელი ენერგიის გაშლავნებას და სააშკარაოზე გამოტანას. ეს კი აკლდება მთელს კაცობრიობას.

ყველა ზემოხსენებულმა ერთობლივად და ბევრმა სხვა გარემოებებმა წარმოშვეს ისეთი უჩვეულო მასშტაბის კრიზისი, როგორიც უჩვეულო იყო მისი პირდაპირი და არა პირდაპირი მიზეზები: ომი, ვერსალის ხელშეკრულება და სხ.

ჩვენს გაზეთში, უცხოეთის ეკონომიურ ცხოვრების ნაწილში, მე განგებ ვათავსებდი ზოგიერთ ცნობებს დასავლეთის ეკონომიკიდან. ეს ცნობები ნათლად მეტყველებდნენ, ვისაც ახსოვს, რომ ევროპა-ამერიკაში დიდი ბრძოლაა კრიზისთან და საზოგადოებრივი აზრი ეძებს და ჰგმობს მის მიზეზებს. მომხმარებელნი საქონელს არ ჰყიდულობენ და ნაწარმოებთა ფასები მაღაზიებშიც კი (არა მარტო ქარხნებში) განახევრდა. არჩევენ საქონლის სასწრაფო ლიკვიდაციას თუნდაც წაგებითაც და დროს მოგებას, ვიდრე საქონლის საწყობებში „რისკით“ გაჩერებას. მატყლი, ბამბა, თამბაქო, შალეულობა, აბრეშუმეულობა, საპონი, ხორბალი, ერთის სიტყვით ყველა საგნებზე ფასები ეცემა და ეს გამოწვეულია მომხმარებელთა პასიობით. ეს გარკვეული პასუხია მომხმარებელთა მასისა, ე. ი. მთელი ხალხისა იმ სიძვირეზე, რომელიც გამეფდა ომის შემდგომ ფულის ფასის დაცემით. ეს ნათლად მაჩვენებელია იმისა, თუ რა მტკიცე ნაბიჯით მიდის დასავლეთის სახალხო მეურნეობა ნორმალ მდგომარეობის პირობებისაკენ. იქ ყველა საქონლის ფასებს აიაფებენ, თუნდაც მითი, რომ დროებით დაჰხურავენ ისეთ დაწესებულებათ, რომელთაც სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ეხლანდელ პირობებში არსებობის რეზონი არა აქვსთ სწორედ ისე, როგორც შეაჩერეს, ან გადააკეთეს ომის დროს ესა თუ ის საწარმოო, რადგან სამხედრო მაშინდელ პირობებს მისი ნაწარმოები არ ეგუებოდა. ფასების დაცემა და სამრეწველოების ნაწილობრივ შეჩერება-გადაკეთება ნაძალადევად ან დეკრეტებით კი არ სწარმოებს, არამედ შეთანხმებით, წინასწარ შედგენილ გეგმით. გადახედეთ თვალი ეკონომიურ ჟურნალებს: „ვინან ილ ტაიმს“, „ანტანტ“, „ეკონომისტ ეროპეენ“ და „გერმანიის ეკონომისტს“ ან სხ. ყველგან შეხვდებით ერთი და იგივე. მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მწარმოებელთა ყრილობამ დაადგინა ნაწარმოების გაიაფება და ამა და ამ ზომების მიღება.

საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატათა დელეგატების ყრილობამ აუცილებლად დასახა ნაწარმოებზე ფასების დაწევა და მით მომხმარებელთა ყიდვითი ძალის გადიდება, როგორც მიუცილებელი საშუალება კრიზისის დასაძლევად. ამერიკა პირველი იყო, რომ აგეთი მაგალითი მისცა სხვებს. საუცხოვო ცნობები იყო ამის შესახებ „ვაშინგტონ პოსტში“. ფასების დაწევა, საქონლის გაიაფება ნებაყოფლობითი აქტია დასავლეთში.

ეს უნდა ახსოვდეს ყველას. მაგ. პირველის შეხედვით, ამერიკა ყველა ქვეყნებზე უბედნიერესი უნდა იყოს დოლარის კურსის უჩვეულო სიმაღლის გამო. ამერიკელს შეუძლია პარიზ-ლონდონში გაცილებით უფრო იაფად იცხოვროს, ვიდრე ნიუორკ-ვაშინგტონში. მას შეუძლია ყველაფერი იყიდოს ტრამად უცხოეთში. კერძო ინდივიდუუმისათვის, მართალია, ეს სასარგებლოა, მაგრამ მთელი ამერიკელ ხალხისათვის საზოგადოთ ეს არაა სასარგებლო, რადგან ძლიერდება იმპორტი და კლებულობს ექსპორტი. სახალხო მეურნეობაშიც შეუშაობს სითხეთა მოძრაობის, სიფონის კანონი.

ამიტომაა, რომ დასავლეთის ყველა ქვეყნებში ერთი ძლიერი, შეგნებულად მომზადილი და უდრეკი მიმართულებაა: ფასების ნიველირობა, ნორმალ პირობების შექმნა და რაც შეიძლება მალე.

ამ პროცესში ადგილი აქვს აგრეთვე ერთა კონკურენციას, ქიშპობას. ვინც უფრო მალე დაამყარებს ნორმალ ფასებს ე. ი. გააიაფებს საქონელს, ის დაისაკუთრებს მსოფლიო ბაზრებს. ამ მხრივ ყველას ეშინია გერმანიის, რომელმაც 1918 წლიდან შესძლო თავისი საგარეო ვაჭრობის გამოკეთება და თვით ინგლისში და ამერიკაში არსებულ მრეწველობისათვის კონკურენციის გაწევა ამათ საკუთარს სახლში. ამ კონკურენციამ ზოგი ქარხნები მიჰკეტა კიდეც.

ამიტომ აბასრებენ ეხლა ვერსალის ხელშეკრულების პირობებს და სურთ მკაცრი კონტროლის დაწესება გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობაზე, საგარეო ვაჭრობაზე. ამას გერმანიაც მოელოდა და იმის გამზადილი ქონდა ახალი ზომები, ყოველ შემთხვევაში შორეულ აღმოსავლეთში მაინც, თუ სხვაგან არა, სადაც მუშაობენ იაპონურსა და ჩინურ ფირმების შირმით.

კიდევ ერთი სპეციფიური თვისებაა ეხლანდელი კრიზისისა მსოფლიო და საყოველთაო მასშტაბისაა. ის ყველა ქვეყნებს და ყველა წარმოებებს აავადებს. მაგრამ შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო ორ ბანაკადაა გაყოფილი იმის და გვარად, სად რა გვარი კრიზისია. დასავლეთ ევროპაში კრიზისი უთუოდ საღი ორგანიზმის კრიზისია.

ის დახასიათდება ფასების დაწევით, საქონლის ძალზე გაიაფებით, ისე როგორც იყო ყოველთვის იმის წინ რომ კრიზისები ჰქონდა ვაჭრობა მრეწველობას. ეს კრიზისი აადვილებს, აახლოვებს ისეთი პირობების შექმნას, სადაც მომხმარებელთ, ე. ი. მთელს ხალხს შეეძლება, შედარებით არსებულ გაღარიბებასთან (ომიანობითა და მის მომდევნო ხანებში), ხელ მისაწდომ ფასებში შეიძინოს ნაწარმოები. თუ შემცირდა ცხოვრების სტანდარტი გაღარიბების გამო, უნდა შემცირდეს ფასებიც, სტანდარტიც, რომ დამყარდეს შეფარდება მოთხოვნილებასა და მოხმარების შორის.

ეს შეფარდება როდისმე ხომ უნდა დამყარდეს? უამისოდ ყოველ გვარი წარმოება შეუძლებელი და წარმოუდგენელია. რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესია. აქეთკენ მიილტვის შეგნებულად დასავლეთის ეკონომიკაც. ამ მხრივ უნდა გასინჯოთ და დააფასოთ კრიზისის მოვლენა, როგორც არა ნორმალური შედეგი სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე არა ნორმალურ მოვლენისა,—უმაგალითო ომისა. არა ნორმალურია ეს შედეგი მიტომ, რომ ჰქმნის ნორმალ პირობებს, ის ჰქმნადობის პროცესია.

სულ წინააღმდეგი ხასიათისაა აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიური კრიზისი. უკანასკნელი დახასიათდება წარმოების სრული მოსპობითა და საკუთარი, შინაური ბაზრის უდაბნოობით. აქ არ არის არავითარი საქონელი—ნაწარმოები. არ არის შრომა. მოთხოვნილება სრულიად დაუკმაყოფილებელია. ცხოვრების სტანდარტი ადამიანისა ადამიანის ღირსებას დასცილდა. ჩვენ წინა წერილებში ამის ნიმუშებიც მოვიყვანეთ.

კრიზისი აქ ფასებს ზღაპრული სისწრაფით მიაქანებს სულ ზევით და ზევით. ცხოვრება ძვირდება. თუ რამ იაფდება ეს ქაღალდზე დაწერილი დეკრეტებია, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა სინამდვილესთვის არა აქვს. როდესაც ქვეყანაში „კრიზისია“ და ფასები ზევით მიდის—ეს „კრიზისი“ ეკონომიურ ცხოვრების სრული მოშლაა.

გაიხსენეთ ოცდაათიან წლის ომები და მისი შედეგები. რუსეთის „კრიზისი“ შედეგია არა იმისა, რომ რუსეთის სახალხო მეურნეობა უნდა მოერგოს ახალს საომარ პირობებს, არამედ შედეგია წარმოებათა სრული მოსპობისა ე. ი. სახალხო მეურნეობის მძიმედ დაავადებისა.

დასავლეთში კრიზისია, რომელიც გამოწვეულია მიუცილებელ საჭიროებით, სახალხო მეურნეობის მორიგებით ახალ გაღარიბებულ პირობებთან; ის ჰქმნის „ნორმალ პირობებს“. აღმოსავლეთში კრიზისია—შედეგი სახალხო მეურნეობის მოსპობისა. იქ ფასები ეცემა, აქ ფასები იზრდება. სრული ნორმალი პირობები კაცობრიობისათვის მსოფლიო მასშტაბით მაშინ დამყარდება, როდესაც დასავლეთის ქვემოთ სრბოლა და აღმოსავლეთის ზემოთ ერთი მეორეს შეიწონის; ე. ი. როდესაც დასავლეთის სინამდვილესთან მორიგებული წარმოება თვითვე მოირგებს აღმოსავლეთის საწარმოო შესაძლებლობით, თუნდაც უბრალო დაუფლებით, მითვისებით (კონცესიები!).

აქედან ცხადია, დასავლეთის კრიზისი საღი ორგანიზმის კრიზისია. აღმოსავლეთისა კი დაავადებულ ორგანიზმის მომაკვდინებელი კვნესაა და სიცხის მატება.

მომარაგების სამინისტრო კი მოვლენათ ვერ აფასებს სათანადოთ და სწორად. ჩვენ მის წერილს არ შევეხებოდით, რომ შიგ ერთი ფრაზა არ ყოფილიყო. სამინისტრო და მისი წყარო არ ინაწილებს ბურჟუაზიულ ეკონომისტების შეხედულებას, რომ კრიზისი წარმავალია და საშუალებაა სახალხო მეურნეობის გამომთელებისათვის ომიანობით მიყენებულ ზიანისაგან. აგეთი განცხადება ჩვენ ეჭვს გვიბადებს, იქნებ ბ-ნ გ. პ. ერაძეს რაიმე ახალი პროექტი აქვს პორტფელში, რომელიც „ბურჟუაზიულ სისტემის“ წინააღმდეგია და სოციალისტური მეთოდების ახალი ნიმუშია.

ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, განვუცხადო ბ-ნ მინისტრს, რომ მე ბევრ ევროპიელ სოციალისტის (ეკონომისტის) აზრებს ვიცნობ ეხლანდელ კრიზისის შესახებ, მაგრამ არსად არ შემხვედრია კრიზისის ისეთი დაფასება, როგორიცაა სამინისტროს წერილში. ცნობილი პროფ. კოლ, სოციალისტი, აფასებს კრიზისს, როგორც მიუცილებელ შედეგს ომისას, რომლის მიუცილებელი შედეგია ნორმალ პირობებს მიახლოვება. ინგლისის მუშათა ლიდერი ფრენ ჰოდჯი უყურებს კრიზისს როგორც წარმავალ მოვლენას, რომელიც ავალებს თვით მუშებსაც შეგნებულად შეჰხვდნენ გაჭირვებას და ანგარიში გაუწიონ მრეწველობის, სახალხო მეურნეობის საერთო ვითარებას. გაიხსენეთ ცნობილი სკერბორის მუშათა კონგრესი ინგლისში! მუშათა დეპუტატი პარლამენტში ბრეისი და თვით შენდერსონი, როგორც უკანასკნელის სიტყვიდან სჩანს ლონდონის მიტინგზე—იზიარებენ „ბურჟუაზიულ“ ეკონომისტების აზრს, რომ კრიზისი უსათუოდ დამთავრდება ნორმალ, ცხოვრების არსებულ სტანდარტთან შეფარდებულ პირობების დამყარებით. კ. კაუტსკი თავის ცნობილს წერილში რუსეთის შესახებ და პირადათ აქ ყოფნისას ამბობდა, რომ ეხლანდელი ევროპის კრიზისის აუცილებელი მიზანი სოციალიზმი არაა. ის ჰგმობს კომუნისტებს, რადგანაც მათ ისე მრუდეთ გაიგეს ეხლანდელი ვითარება წინააღმდეგ, განათლებული სოციალისტები იმ აზრისა არიან, რომ არსებულ უბედურებათაგან თუ იშვა სოციალიზმი, ის ბედნიერების წინ, უბედურებას გაუმზადებს კაცობრიობას, ჩვენის აზრით, სოციალიზმი დიდი რევოლუცია და უსაშინლესი მანობის ფორმა იქნება კაცობრიობისათვის, მაგრამ მართლაც კიდევ მეტი საშინელებათა ეპოხათ უნდა გადიქცეს სოციალისტური წესწყობილება, თუ ის ოდესმე განხორციელდა და თავისი საკუთარი დეფექტებთან ერთად ისეთი მძიმე დეფექტებიც მიიღო სამემკვიდროთ, როგორიცაა მსოფლიო ომით გამოწვეული მძიმე პირობები და რუსეთის უბედურება. სამინისტრო თვითვე ეწინააღმდეგება თავის თავს როცა ამბობს ეს კრიზისი გასტანს ერთის შეიძლება ორ წელიწადსაცო. ე. ი. შემდეგ უნდა დამყარდეს ნორმალი ერა. მეორე საკითხია თუ რამდენს ხანს გასტანს ევროპის კრიზისი. ცნობილ ჰუვერის აზრით 1918 წლიდან 5—7 წელიწადი იყო საჭირო, რომ ევროპას დაებრუნებინა ის მდგომარეობა, რომელშიაც იყო ის ომის წინ. პროფ. და სახელმწიფო მოღვაწე კეინის ვადას გარკვევით ვერ ასახელებს, თუმცა ეს კრიზისი უჩვეულო და უმძიმეს კრიზისად მიაჩნია. სტემპი და ბესტებლი, აგრეთვე გერმანელი პელფერიხი ანგარიშობენ 5—6 წელიწადს 1918 წლიდან. უნდა ითქვას რომ ეს საკითხი დამოკიდებულია მეორე საკითხზე: იქნება თუ არა ახალი ომი? თუ ასეთი იქნა, კრიზისი შეიძლება ძალიან განხანგრძლივდეს და ძალიან და ძალიან დაჩქარდეს კიდეც. ის დამოკიდებული იქნება ახალი ომის შედეგებიდან.

თუ ომი არ მოხდა, საკითხი დამოკიდებულია გერმანია-რუსეთისა და დანარჩენ ევროპის შორის იმ მოდუს ვივენდისგან, რომელიც უნდა ან შეიძლება დამყარდეს ახლო მომავალში. დასავლეთის ეკონომისტები გამოდიან ყოველთვის იმ პრემისიდან, რომ დარჩება ის პირობები, რომელიც სინამდვილე შეიგუებს პრაქტიკულად (ე. ი. უმეტესად არ ეყრდნობიან მკაცრად ვერსალის პირობებს). მაშინ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის ძლიერი და შეუჩერებელი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს დასავლეთი წარმოებათა მოსარგებათ ცხოვრების შეცვლილ პირობებთან და თამამად ითქმის, რომ 1921, 1922 და 1923 წლები მზადების წლები იქნება და ძალიან მძიმე წლები იქნება.

გაუმჯობესების ხანა საგრძნობლად შეიძლება დადგეს მხოლოდ 1924 წლიდან. ესეც მოხდება იმ პირობით, თუ მშვიდობიანობა არ დაირღვა და რუსეთ გერმანიის ურთიერთობა დანარჩენ კაცობრიობასთან ნორმალურ ფორმებში მოგვარდა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: დასავლეთში კრიზისი წარმოებითია, ეკონომიურია და უჩვეულო მასშტაბით, მაგრამ ჩვეულ ფორმებში მიმდინარეობს: ფასების სტანდარტის დაწევით უფარდებს წარმოებას ცხოვრების უკვე დაწეულ სტანდარტს. ხდება შეფარდება წარმოებისა ცხოვრების პირობებთან. ეს პროცესი გასტანს რამოდენიმე წელს, რადგან კრიზისის მასშტაბი ვრცელი და გამომწვევი მიზეზებიც ძლიერი იყო.

აღმოსავლეთში კრიზისი უჩვეულო მასშტაბით და უჩვეულო ფორმებშია. ის შედეგია სახალხო მეურნეობის სრული გავერანებისა. ეს კრიზისი აღარაა მარტო ეკონომიური ხასიათის, ის პოლიტიკური და ქრონიკულ—ფიზიკური ხასიათისაა. (გაიხსენეთ საფრანგეთის კომუნიზმიც!.) მისი დაძლევა შეუძლია შედარებით მოკლე ხანში მხოლოდ გარეშე ძალას, უცხოეთის კაპიტალს.

მომარაგების სამინისტროსათვის განსაკუთრებით საჭიროა ამ მოვლენათა ქსელში გარკვევა და ნათელი წარმოდგენის შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკას დიდი საფრთხე მოელის.

ტ. მარგველაშვილი.

მთავარი რედაქტორი: გრ. ვეშაპელი.
სარედაქციო კოლეგია.

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსინატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის, 5—6 მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიკაზე“ (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. სალამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. პალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—12 ს. ვენერიულ)-სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914. და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 საგუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ბ ა თ ო მ ი
ექიმი
ალ. ალ-ძე თუმანიშვილი
დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავადმყოფების მიღებას. 3456

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნაშ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.

მ ა ღ ა ზ ი ა
სიმენს შუკერტი.
რუსთაველის პროსპ. №21.
მიღებულია ეკონომიური ელექტრონის შუშები 220 და 110 ვოლტიანი, სხვა და სხვა ძალის სინათლის.

შემთხვევით.
იყიდება შკაფი ბუფეტის, სასადილო და ლომბერდის და სხვ. მაგიდები, სკამები, შკაფები, ლიუსტრა ელექტრონის, ეტაჟერკა, პირის საბანი, წიგნები ლამაზი ნოხი თავრიზი 16 კვადრატიულ არშინის, ლიმონის ხე და არეუკარისამეროპსი.—
3 კომისარიატი ამაღლების ქუჩა, №33 ზედა სართული, ნახვა შეიძლება 12 საათიდან—5—დის.
3485. 4—2

სახლი
მამული, აგარაკი
გაყიდვა—ყიდვა,
აქვს დიდი კლიენტურა, დავითის ქუჩა, № 3, ბინა 2, გოლოვინის პრ. ახლო.
„ინტელიგენტთა ჯგუფი“.
3486. 4—2.